

კუჩიან- Region



ფასი ორი ლარი

ბეთლემის აღმოსავლეთით
სასწაულებრივი ვარსკვლავი გამოჩნდა

გამიღეთ ქარები, მოვედი ქალანდა
ყოლიფერ სიკეთით სავსე მაქვს ქალათა

ახალშობილთა სკრინინგმა მასშტაბური
ხასიათი მიიღო

თავისუფლება ხარქს ითხოვს

ჩაის კულტურა გურიაში უცვლელია

2025
იანვარი
№39

აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი



სმენის სკრინინგის, სუბიექტური აუდიომეტრის, ტიმპანომეტრია, ობიექტური ანუ კომპიუტერული აუდიომეტრიის, ვესტიბულომეტრიის, ფონიატრიის, ენდოკრინოლოგიის, ლოგოპედიის, ტინიტუსის მკურნალობის და დიაგნოსტიკის, ლაბორატორიის ფოტოები.



მისამართი:

ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. N13,
VII სართული

მობილური ტელეფონები: 0322 35 60 59;
551 190 167; 599 900 466

e-mail: odavitashvili@yahoo.com

სარჩევი

შობის ამბავი	4
ყოველი საქართველო – ბრძოლა ქვემო ქართლისათვის	6
მსოფლიოში ერთადერთი, უნიკალური	7
...შურსა და ცილზე ამალღებული... ..	8
სენსორინეგრაღური ტიპის სმენაჩღუნგობა: პრობღემა ბავშვებში.....	10
არჩიღ ხომასურიძე ეროვნულ საქმეს ემსახურება	16
ანასეუღის ლაბორატორია ქვეყნის სამსახურშია	22
აკაკი გელოვანი.....	24
თავისუფღება დიდ ხარკს ითხოვს... ..	26
ანა კალანდაძის პირვეღი ლექსი	29
ქავერ შოუს გამარჯვებული	30
იუმორი	31-32,34

ქურნალი თავისუღალი ჰრანის ჰრინცივით ხელმღღწანელოვს,
რღლაქციაში ზამოსული მასღაღის სიზუსტაზა ჰასუს აზავს ავბორი,
ხოლო სარაღღამო ბაქსტა ჰასუსისგვავლოზა რაღღღამის ზეგავითს აჩისრავა.

ძვირღასო მავითხვღღაღო!

მოგვანოდეთ პუბღიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იღეები,
გავვიზიარეთ თქვენი პრობღემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.
გავითვღლისწინეთ, ჟურნღღღში განთავსება ფასიანია.

სარეკღღამო / ზეითავაზება

გურიაRegion ზემეცნებით-საგანმანათღებლო ხასიათის ყოვეღღთვიური ჟურნღღღია. პუბღიკაციები ტურიზმის, დაცული ტერიტორიების ზესახებ, სამეღღიციწო თემებზე, ქართვეღი მენარმეების საქმიანობასა და წარმატებებზე ქვეყნღღება. ჰყავს ბევრი მკითხვეღი. გურია Region საქართვეღღოს უმეტეს არეღღღში ვრცეღღღება, მაგღღღითად, ქღღღღებში – თბიღღღსში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში.

– A4 ფორმღღის ერთი გვერდი ზავ-თეთრი რეკღღღამის განთავსების ღღრებუღღება 300 ლარია.

– A4 ფორმღღის ერთი გვერდი ფერადი რეკღღღამის განთავსების ღღრებუღღება 600 ლარია.

გრძეღღღადიანი თანამშრომღღღობისას ფასდაკღღება მოქმეღღღებს.

საკონტაქტო პირი: ჟურნღღღის რედაქტორი ლეღღღ სურმავა.

ტეღღღფონი: 558 256 550

გარეყღღის მხატვარი
მაღღღაზ კუხაშვიღღი

საშობაო მილოცვა



დღეს, ზეიმობს ცა და დედამიწა, კაცთა მოდგმა და ანგელოზთა დასი: დღეს დღეა სიყვარულისა. დღეა ღმერთთან და ერთმანეთთან შერიგებისა.

ევას გლოვის დასასრულისა და ჩვენი მეოხისა და მფარველის, ყოვლადმედა ღვთისმშობლის გამობრწყინებისა.

მაშ, მივუძღვნათ ჩვენი გული ბეთლემში შობილ ყრმას და შევიყვაროთ იგი ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა, ყოვლითა გონებითა და ყოვლითა ძალითა, რათა კეთილი გვეყოს ჩვენ და ვიხარებდეთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი.
ილია მეორე

შობის ამბავი

მოახლოებული იყო ჟამი ქრისტეშობისა.

იმ დღეებში გამოვიდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება „აღწერად ყოვლისა სოფლისა“.


ყველამ თავთავის ქალაქს მიამშურა ჩასაწერად. წავიდა იოსები ბეთლემში - დავითის ქალაქში, ვინაიდან იგი დავითის სახლიდან იყო. წავიდა მასთან ერთად მარიამიც. იგი ხომ თავისი გვარის ერთადერთი წარმომადგენელი იყო; არ ჰყავდა არც და, არც ძმა და ამ აღწერაში მამაკაცებთან ერთად უნდა მიეღო მონაწილეობა.

ნაზარეთიდან ბეთლემამდე სამ დღეზე მეტი ხნის სავალია. მოხუცებული იოსები და მიდგომილი ქალწული, რალა თქმა უნდა, კიდევ უფრო ნელა მიდიოდნენ.

გვიან საღამოს ჩასულთ გადავსებული დაუხვდათ ქალაქი. უბრალო თავშესაფარიც ვერ იპოვეს. მხოლოდ ქალაქგარეთ, დავითის წყაროსთან აღმოაჩინეს ერთი მღვიმე, რომელშიაც უამინდობაში შერეკავდნენ ხოლმე მწყემსები საქონელს და თვითონაც აფარებდნენ თავს.

აქ აღესრულა იესო ქრისტეს ამ სოფელში ხორციელად მობრძანების საიდუმლო.

უმტკივნეულოდ შვა მარიამმა ძე თვისი, პირმშო. ჩვრებშიც თავად შეახვია და ბაგაში მიანვინა.



რუსუდან ფეტვიაშვილი

ღამე იყო და ირგვლივ ყველა და ყველაფერი ღრმა ძილს მისცემოდა, მხოლოდ მწყემსები დარაჯობდნენ თავიანთ ფარას მღვიმიდან ნახევარი საათის სავალზე დაშორებულ ბეთლემის ველზე. უეცრად გასხივოსნებული ანგელოსი უფლისა გამოეცხადა მათ:

„აჰა, მე გახარებთ დიდ სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი და აი, თქვენ ნიშანი: იპოვით ყრმას შეხვეულს და მწოლარეს ბაგაში“.

ანაზდად უამრავი ანგელოზი გაჩნდა და გაისმა გალობა:

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ანგელოსები რომ გაქრნენ, მწყემსები წავიდნენ, იპოვეს მღვიმე და თავყვანი სცეს ახალშობილ მაცხოვარს. იოსებსა და მარიამს კი

ყველაფერი უამბეს. მარიამი მწყემსების ნათქვამ თითოეულ სიტყვას იმახსოვრებდა და გულში იმარხავდა.

თან თვალს არ აშორებდა ღვთაებრივ ჩვილს, თავისი სუნთქვით ათბობდა... მისი სული სავსე იყო უნაზესი სიყვარულით იმის მიმართ, რომელიც გახლდათ პირმშო ძე მისი. თავყვანსაც სცემდა მას, რამეთუ ჩვილი იესო ამავე დროს ღმერთი იყო, განკაცებული.

ირველივ სიცივეა, სილატაკე, მაგრამ ეს დღეები მაინც შეუდარებელია, რადგან ღვთისმშობლის სიხარულია სრული და უნაღვლო. აკი უსასრულოდ უყურებს ამ სოფლად მოსულ ღმერთს, რომელიც იმავდროულად მისი შვილია და განიცდის იმას, რაც არასოდეს განუცდია მანამ და არც მერმის განიცდის არც ერთი სხვა დედაკაცი.

ღვთაებრივი ყრმის დიდება ქვაბულსა და ბაგაში არ დარჩენილა, მართო მწყემსებისთვის არ გამხდარა საცნაური დიდება ღვთისა; ისინი მხოლოდ პირველი რჩეულები იყვნენ.

როგორც კი ქრისტეს შობამდე ბეთლემის აღმოსავლეთით სასწაულებრივი ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელიც თავისი მოძრაობით ზეციურ მნათობთა ზოგად კანონს არ ემორჩილებოდა, აღმოსავლელი ასტრონომები დანიელის წინასწარმეტყველებაზე დაყრდნობით მიხედნენ, რომ ის ღვთიური მეფის მოსალოდნელ შობაზე მიანიშნებდა. ეს ბრძენთაგან რჩეულნი იერუსალიმისაკენ გაემართნენ, რომ ეპოვათ ქვეყნირების მეუფე და თავყვანი ეცათ მისთვის.

გადმოცემის მიხედვით, მოგვები რჩეული წინამძღოლები იყვნენ სპარსეთიდან - სამი ასაკის და სამი მოდგმისანი. მელქიორი - მოხუცებული - სემის შთამომავალი, გასპარი - უწვერული და ჯან-ლონით სავსე ჭაბუკი - ქამის შთამომავალი და ბალთაზარი - მონიფულობაში ახლად ფეხშედგმული კაცი - იაფეთის შთამომავალი.

იერუსალიმში ქრისტეშობის შემდეგ ჩავიდნენ. ამბავმა, რომ იუდეველთა მეფე იშვა, შეაძრწუნა ჰეროდე. აკი მის ტახტს მოგვების გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე ფარისეველებმა დაცემა უწინასწარმეტყველეს.



არქიმანდრიტი ადამი ახალაძე

ჰეროდესთან შეხვედრის შემდეგ მოგვები იერუსალიმიდან ბეთლემისკენ წავიდნენ. უეცრად ცაზე ხელახლა გაიბრწყინა ვარსკვლავმა, გზის საჩვენებლად მათკენ დაეშვა და წინ უძღოდა, სანამ იმ ადგილს არ დაადგა თავს, სადაც ყრმა იმყოფებოდა. გამოქვებულის შესასვლელთან კიდევ უფრო დაუახლოვდა მინას. როდესაც დაინახეს ვარსკვლავი ერთ ადგილას უძრავად იდგა და გამოქვებულის შესასვლელს კაშკაშა სინათლეს ჰფენდა, მოგვებს უდიდესი სიხარული მიანიჭა იმის მიხვედრამ, რომ დასრულდა ძველი სამყაროს მოლოდინი.

მათ ძვირფასი საჩუქრები მიართვეს, ყველაფერი, რაც ღმერთკაცისათვის შესაფერისად მიიჩნიეს. ქალ-

დეველმა მელქიორმა უფალს მიუძღვნა გუნდრუკი, ანუ საკმეველი, როგორც ღმერთს, სპარსელმა ბალთაზარმა - ოქრო, როგორც საუკუნო მეფეს; ეთიოპელმა გასპარმა - მური, როგორც ღმერთკაცს.


ყოვლადწმინდა მარიამი და იოსებ დამწინდველი განცვიფრებით უმზერდნენ მოგვებს, რომლებიც მინაზე დაემხნენ, რათა ყრმა უფლისა და მისი ყოვლადწმინდა დედისთვის ეცათ თავყვანი.

ამის შემდეგ მოგვები აპირებდნენ ბეთლემიდან კვლავ იერუსალიმში შეეველოთ და ჰეროდეს თხოვნისამებრ მისთვის აღთქმული მესიის სამყოფელი ეუნყებინათ, მაგრამ უფლის ანგელოსმა, რომელიც სიზმარში გამოეცხადათ, მათ ჰეროდეს ბოროტი განზრახვის შესახებ აუწყა და უბრძანა, სხვა გზით დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

არქიმანდრიტი ადამი ახალაძე



ყოველი საქართველო ბრძოლა ქვემო ქართლისათვის



თემურ-ლენგის ლაშქრობებმა (1386-1403 წწ.) მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური ვითარება კავკასიაში და შეარყია ქართველთა პოზიცია ქვემო ქართლშიც. დავით ბატონიშვილის (1767-1819 წწ.) ცნობით, მონღოლთა მრისხანე მბრძანებელს დაღესტანში ადგილობრივი მკვიდრნი ამოუწყვეტია და იქ სპარსნი ჩაუსახლებია, ქართლი კი მომთაბარე თურქმანებით, შამშადილოელებით დაუსახლებია. შამშადილო ისტორიული გარდაბანია (ხუნანის საერისთავო), დემოგრაფიული ვითარების შეცვლის (ადგილობრივი, ქართული თუ სხვა კავკასიური ელემენტის გაქრობა და მისი ადგილის დაკავება მომთაბარე ურდოების მიერ) გამო ეს კუთხე დიდი ხნით მონყდა საქართველოს.

თემურ-ლენგის 1402 წლის ლაშქრობის აღწერისას, სპარსელი ისტორიკოსი შარაფ-ად-დინი (გარდ. 1454წ.) საქართველოს სასაზღვრო მდინარედ ასახელებს

ტბდრ-ს, სავარაუდოდ, დებედას. ამგვარი გაიგივება სხვა მხრივაც დასტურდება: დაახლოებით 30 წლის შემდეგ, განძადან საქართველოში მომავალი ქარავანი მდ. აღსტაფასთან ჩალატაელებმა, ანუ მომთაბარე მონღოლ-თათრებმა გაძარცვეს. მხოლოდ ქაოზიანის ციხეში მიიღეს მგზავრებმა შესაბამისი დახმარება. დასახელებული ციხე დებედას ხეობაში, მის ქვემო წელს მდებარეობდა. აღსტაფას ხეობა კი მოტანილი ფრაგმენტის მიხედვით, თითქოს, საქართველოს საზღვრებს მიღმა იგულისხმება. ამრიგად, საქართველოს სამეფომ დაკარგა ისტორიული სამხრეთ-აღმოსავლეთი მიწაწილი და აღმოსავლეთის საზღვარმა მდ. ძეგამიდან დასავლეთით, მდ. დებედაზე გადმოინაცვლა. ამიერიდან ბერდუჯის სახელიც მდ. დებედაზე დამკვიდრდა (მანამდე ის ძეგამს ერქვა).

შამშადილოსა და სხვა თურქმანული მომთაბარე ტომები თეთრბატკნიანთა და ყიზილბაშთა აგრესიის მთავარ დასაყრდენად გადაიქცნენ. ისინი თანდათანობით დებედას ხეობისკენ მიიწევდნენ, იქიდან სდევნიდნენ ქართველებს და ითვისებდნენ მისი ქვემო დინების ნაყოფიერ ველებს. იქ აღმართულ აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხესიმაგრეებს დამპყრობელი ანახლებდა და აძლიერებდა. ქართველი მეფეები კი ანგრევდნენ და მუსრს ავლებდნენ, მაგრამ ხმლის ქნევამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და გარდაბანი დაიკარგა.

დებედას ზემო წელზე თურქმანები უპატრონოდ დარჩენილ ლორე-ტაშირს დაეპატრონენ. მათთან ბრძოლაში დაიღუპა სამეფო ტახტის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, ალასტანელი უფლისწული ანდრონიკეს შვილი გიორგი. მომხვედურს მრავალი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუებიან და ტახტი მეფეთა განურყუნია და საპატრიონი ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხუქმნიან...



მომთაბარეთა ხელში აღმოჩნდა შესანიშნავი საზაფხულო საძოვრები და ქართლის სამხრეთი კარიბჭეც. საქართველოს სამეფოს ცენტრალურ რაიონებს დიდი საფრთხე შეექმნა. ბრძოლას ლორე-ტაშირის გამოსხნისათვის სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს მეფე ალექსანდრე I და კათოლიკოს პატრიარქი თევდორე III (1429-1435 წწ.).

გარდაბნისგან განსხვავებით თურქმანები ლორეში, ჩანს, ისე მასობრივად არ ყოფილან ჩასახლებულნი, 1431 წელს ალექსანდრე მეფემ აიღო ეს მხარე, განმინდა დებედას ხეობა მომთაბარეებისგან და იქ კვლავ ქართული მიწათმფლობელობა აღადგინა. ლორე-ტაშირის გათავისუფლებამ დაკარგული სომხური თემების დაბრუნება გაადვილა.


XIV-XV სს. პოლიტიკურმა რყევებმა კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს, როგორც თავშესაფარი ქვეყნის, მიმზიდველობა მაჰმადიანთაგან დარბეულ-ანიოკებული სომხებისთვის. მათი ჩამოსახლება ქვეყანაში კიდევ უფრო გაცხოველდა. 1437 წელს სანაინის გადანერღ იადგარის ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ:

სასონარკვეთილი ვარ დროის სისასტიკისა და სომეხთა ქვეყნის მრავალი ვაებისა და აოხრების გამო. რამეთუ მოვიდა შეჩვენებული... შახრუხი, ლანგ-თამურის შვილი, ჩვენი წმინდა მოციქულის ევსტათეს ანგელოზთა სამკვიდრო ტახტი დაარბიეს. მინასთან გაასწორეს... ჩვენი ძმობის ნევრები გავიქეციით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში და დავმკვიდრდით სანაინის ამ წმინდა მონასტერში. მინაწერის შესავალშიც ნათქვამია, რომ იადგარი გადაინერა სანაინის მონასტერში, საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას, ამ მხარეში კი ბეშქენ ორბელიანისა და მისი ვაჟის მთავრობისას.

XV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში ლორე-ტაშირში თურქმანები ბატონობდნენ. მხოლოდ 1491 წელს ქართლის მეფემ კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) დალაშქრა გელაქუნი და შირაკოვანი, აიღო ლორეს ციხე და დებედას სათავეები თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ზაზა აბაშიძე



ბიჭიკო ასკურავა

მსოფლიოში ერთადერთი უნიკალური


უძველესი ქართული მედიცინის წიაღში მკურნალთა არა ერთი საგვარეულო შტო იშვა, ორნახევარი საუკუნეა ღირსეულ ადგილს იკავებს ასკურავათა დინასტია... ასკურავების საგვარეულო მალამოზე, შუასაუკუნეების ქართულ ხელნაწერებშია მოთხრობილი. ასკურავების საგვარეულომ ჩაუყარა საფუძველი მსოფლიოში ერთადერთ უნიკალურ მეთოდს – მოტეხილობის მკურნალობა უთაბაშიროდ, უბრალო გადახვევით და მალამოთი.

საგვარეულო მალამოს საიდუმლოებას ბიჭიკო ასკურავა მამისგან, დავით ასკურავასგან ეზიარა ნახევარი საუკუნის წინ. ასკურავების ფირმა პოპულარულია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ბიჭიკო ასკურავამ საგვარეულო ტრადიციით მკურნალობა შვილიშვილებს, დათო და ლადო ასკურავებს სიცოცხლეში შეასწვლა. ბატონი ბიჭიკოს სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა.

ბიჭიკო ასკურავა ჟურნალ გურიაRegion დიდი ქომაგი იყო. საგვარეულო შტოს უნიკალურ მეთოდს ქ. თბილისში ივერიის 5-ში შვილიშვილი დათო ასკურავა აგრძელებს.

მოვილური ტელეფონი: 593 550 030

...შუკსა და ცილზე აკაღლებული...



ლევან გოთუა

ღრმად მწამს და მჯერა, რომ უამთა სვლასთან ერთად, ლევან გოთუას სახელი და დიდება სულ უფრო და უფრო ამაღლდება, რადგან სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული გულები, მარად და მარად იარსებებენ, მათ რა – გამოლევს და რა სასწაული დაშრეტს...

ელგუჯა მალრაძე
თბილისი, 16 მარტი, 1985

ლევან გოთუამ თავისი ღრმად ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით საპატიო ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის. იგი ავტორია შესანიშნავი მოთხრობების, პიესების, ბრწყინვალე ნოველებისა, მაგრამ მას, პირველყოვლისა, ისტორიულმა რომანებმა მოუპოვეს მკითხველთა დიდი სიყვარული.

მისი ისტორიული რომანების თავისებურებაა, უაღრესად მაღალ საფეხურზე აყვანილი პატრიოტული პათოსი, ამ რომანებში ასახული ცხოვრების ყველა მხარე: ადამიანის ყოველგვარი დამოკიდებულებანი – გლეხის დამოკიდებულება მეფესა და ბატონთან, ამ უკანასკნელთა საქმიანობა, სასულიერო პირთა, მოქალაქეთა, ხელოსანთა ცხოვრება, პერსონაჟების მოქმედების ყველა ნიუანსი – რომანტიკული გატაცებები, მათი ცხოვრების ბედი, ბუნების სიმშვენიერის ხილვა და განცდა, სულიერი მღელვარებანი, დაკავშირებულია სამშობლოს ბედთან და უბედობასთან. მისი ნაწერების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მწერალს, როგორც პიროვნებას ჰქონდა არა მხოლოდ მომადლებული მხატვრული ნიჭი, შემოქმედებითი ფანტაზია, არამედ დიდი შინაგანი ძალა, სულიერი მდგომარეობა. ყოველივე ამით აღჭურვილია მისი შემოქმედების ყველა მხარე-სიუჟეტი, ხასიათების სისტემა, ხასიათებს შორის ბრძოლა, მწერლის დიდი სულიერი პათოსი, მაღალი იდეურობა, დიდი პატრიოტული მრწამსი, თხრობის მაღალი ხელოვნება, რომლებიც ჩაქსოვილია მის ნაწარმოებებში, აიძულებს

მკითხველს, ბოლომდე, მრავალგვერდიანი რომანის კითხვის დამთავრებამდე, მასში აღძრული მღელვარება, განცდების ტყვეობაში დარჩეს. მკითხველზე ასეთი ზეგავლენის მიზეზი უნდა ვეძიოთ მწერლის პიროვნების თავისებურებაში.

მრავალ წელს მწერლის ცხოვრებისეულ მოვლენებზე დაკვირვებამ (ჩვენ ვმეგობრობთ 20-21 წლის ასაკიდან), მისი პიროვნების კვლევის მიზნით, მასთან საუბრებმა და ექსპერიმენტული მონაცემების შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ მწერლის პიროვნების მოტივების სფერო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მასში ჭარბობს მაღალი სოციალური მოთხოვნილებები – ერის კეთილდღეობისათვის სამსახური, უმაღლესად განვითარებული ჰუმანურობა, პატრიოტულობა, ასეთი უაღრესი სოციალური განწყობების დაუკმაყოფილებლობა, მარად მაძიებელი სულის მშფოთვარე უკმაყოფილება, მიღწეულის უკმარისობის მწვავე განცდა, ავსებდა მის პიროვნებას რომანტიკული შინაარსის ოცნებებით, მის სულიერ სამყაროში უხვად იყო დაბუდებული ისეთი იმპულსები, რომლებიც შინაგანად უბიძგებდნენ მას დაუშრეტელი აქტივობისაკენ, კერძოდ, თავდადებული შემოქმედებითი შრომისა და მრავალმხრივი პატრიოტული მოღვაწეობისაკენ. ადამიანთა ურთიერთობაში კეთილი, უმნიკვლო საქმიანობისაკენ.


გარკვეულ ტიპურ გარემოში, ეპოქისათვის სპეციფიკურ პირობებში შეზრდილ, თავისი ნაწარმოებების გმირთა ხასიათებში, ავტორმა ჩააქსოვა შემოქმედების მასულდგმულელებელი, მაღალი პატრიოტული მრწამსი, თავისი ქვეყნის ღრმა სიყვარული და რწმენა. რომ ეროვნული განადგურებისაგან საქართველოს ხსნა შეძლეს გმირებმა, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ არა მხოლოდ კეთილი, ფილანტროპული თვისებებით, არამედ მათ, რომელთაც ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან ერთად, ჰქონდათ მძლავრი აგრესიის მოთხოვნილება. რომელთაც სჯეროდათ, რომ სიკეთის გამარჯვებისათვის, საჭიროა თავდადებული ბრძოლა, რომ აუცილებელია, მაღალ ვაჟკაცურ ბუნებასთან შერწყმული დაუნდობელი აგრესია. შეიძლება ითქვას, ლევან გოთუას რომანის გმირთა ვარამის დადებითი გმირები, რუსთაველის აფორიზმის ერთგულნი არიან: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია. სჯერათ, რომ სიკე-



ჯუმბერ ჯიშკარიანი

თის გამარჯვება, შესაძლებელია მხოლოდ დაუცხრომელი აქტივობით. შრომით, ბრძოლით, ბოროტების წინააღმდეგ მძლავრი აგრესიით.

ლევან გოთუას, მისი მამოძრავებელი მოტივები, კანონზომიერად აისახა მისი გამარჯვების მაღალი მიზნებისათვის ბრძოლებში, ხასიათთა შორის შერკინებებში, მათი ცხოვრების ბედის, ტრაგიკული სურათების სისხლისმღვრელი ბრძოლების, ღალატითა და ავკაცობით მკვლელობების, მრავალი მზაკვრული ქცევის, მთელი ხალხის ან ცალკეული ადამიანის ყოფა-ცხოვრების მიმართ. მის სუბიექტურ ემოციურ დამოკიდებულებებში, რაც აღსავსეა ოპტიმიზმით, გულგებლობით, ცხოვრების მნიშვნელოვანი ღირებულებების დიდი სიყვარულით, ღრმა ჰუმანურობით, ისე, როგორც ეს დამახასიათებელია მთლიანი ჰუმანიტარული ადამიანისათვის. მისი გმირები, ყოველ მძიმე კრიტიკულ სიტუაციაში, გამოუვალ მდგომარეობაშიც არ კარგავენ იმედს. პოულობენ გამოსავალს. მიუხედავად აუტანელი ჭირ-ვარამისა, ინარჩუნებენ შინაგან სიმტკიცეს. ამოუწურავ შინაგან ენერჯისა. მათი დაუშრეტელი აქტივობა, სავსეა სიცოცხლის სიყვარულით, ურთიერთობისას სითბოთი და ჰუმანური განწყობილებით. მტრისა და მოყვარის მოქმედება განცდილია გარკვეული ობიექტურობით. მტრის მოქმედებისათვის მონახულია გარკვეული მოტივი. მისი ქცევა გაგებულება, არა როგორც სისხლმონყურებული მხეცისა, არამედ, როგორც თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის მეტბრძოლისა (შაჰა-



ლევან გოთუას საფლავი

ბაზის და შამხალების ხასიათები), ბრძოლების, ღალატით სისხლისღვრის ამსახველი დრამატიული სცენები, გადმოცემულია უაღრესად ობიექტური რეფლექსიითა და ზომიერი, თავშეკავებული ემოციურობით. ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათები, ბატალური სცენები, აღწერილია დიდი ხატოვანებით და დინამიურობით. ომის მძიმე ვითარებაშიც ადამიანები ხშირად ავლენენ გულგებობას სიხალისეს, იუმორს და ადამიანის ღირსებისადმი დიდ რწმენას. გმირთა ვარამის ნათელ და კოლორიტულ ფიგურას – ქოხსალამურას, ყველგან, ზეიმებსა და სისხლიან შეტაკებებში შეაქვს ხალხის, ადამიანის დიდი ღირსების გამომხატველი იუმორი, ყველგან, იქნება ეს გამარჯვების ზეიმი, დღეობები, მძიმე ომები, ძრწოლის მომგვრელი პირობები. ლევან გოთუას ნაწარმოების გმირები. ერთნაირი სიძლიერით ინარჩუნებენ ადამიანურ ღირსებას, ნონასწორობას, საქართველოს კეთილი მომავლის იმედს. რაც მწერლის პიროვნების საკუთარ ნაწარმოებებში, ცნობიერი თუ არაცნობიერი პროექციის შედეგია.

ლევან გოთუას ახასიათებდა წარსული ცხოვრების მოვლენებში მთლიანი გარდასახვა, მათი გარდაქმნა და რეალური, ცოცხალი ხატების შექმნა. ამ მხრივ, ყველაზე ტიპურია ის ძირითადი მოტივები, რომლებმაც განაპირობეს რომან მითრიდატეს შექმნა. მწერალი ამბობს: ჩემი ბოლო წლების მოგზაურობის დროს, ციხე-გოჯის ძველთაძველ ნანგრევებს შორის, ჩვენი ანტიკური გმირის ჩრდილი გავლანდებოდა. სწორედ ამ მომენტიდან იწყება მასში ჯერ კიდევ დაულაგებლად, ქაოსურად მოცემული მითრიდატეს ხატის თანდათანობით გამოკვეთა. ფაბულის მთავარი მომენტის მონიშვნა. საბოლოოდ, შორეული წარსულის შესახებ არსებული ცალკეული ფრაგმენტის საფუძველზე, მწერალი ქმნის ფართო, სინთეზურ, ცოცხალ ორგანიზმს, წარსული ცხოვრების ამსახველ მთლიან სურათს. ავტორის თქმით, მისი მითრიდატესთან შეყრა, ბუნებრივია: ჩვენ ხომ ჩვენი წინაპრების განმეორებულ ნაირსახეობანი ვართ, მსოფლმეგრძნობაში, ხილვებსა და ლტოლვებში, კვლავ ვემსგავსებით მათ, და მათი დაუდგრომელი სული მოგვდგამს.

ლევან გოთუას ზემოთ მოყვანილი აზრი იმის მაუწყებელია, რომ იგი მთელი არსებით მიჯაჭვული იყო ქართველი ერის წარსულსა და აწმყოსთან, ამიტომ, რომ მისი ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟები, მძლავრი, გამოკვეთილი, მაღალი საზოგადოებრივი იდეალების მატარებელი ქართველობაა. პერსონაჟების ხასიათებსა თუ ხასიათთა ჭიდილში, ასახულია შემოქმედის სულიერი სტრუქტურის მთელი პათოსი. სამწუხაროდ, მწერლის სიცოცხლე შეწყდა მისი შემოქმედებითი აქტივობის ზენიტში. მას ბევრი დარჩა დაუწერელი...

ვლადიმერ ნორაკიძე

სენსორინეფრალური ზიზის სენარლუნგობა: პრობლემა ბავშვებში

ზურაბ ქევანიშვილი

აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი, თბილისი



სმენაჩლუნგობა, რომლის ინგლისური შესატყვისია *hard-of-hearing*, გერმანული – *Taubheit*, რუსული – *мышьявость*, ყველა ასაკის ინდივიდების, მათ შორის ბავშვების ხშირ პათოლოგიათა რიგს განეკუთვნება და, შესაბამისად, თანამედროვე მედიცინის, კერძოდ, აუდიოლოგიის აქტუალურ პრობლემად წარმოჩნდება. სენსორინეფრალური ტიპის სმენის დაქვეითება, კონდუქტიურის და შერეულის გარდა, მსოფლიოს ყოველი 100.000 მოსახლიდან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის 5-15 ინდივიდს აღენიშნება. მძიმე თუ უმძიმესი ხარისხის სმენაჩლუნგობას 1.500 ახალშობილიდან ერთში მაინც აქვს ადგილი. სმენის ჰიპოფუნქციის ადრეული იდენტიფიკაციისთვის ახალშობილთა საყოველთაო აუდიოსკრინინგს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ახალდაბადებულთა სმენის სკრინინგი მსოფლიოს მონინავე ქვეყნებში სამათეულ წელზე მეტია სავალდებულო ხასიათს ატარებს. მისასალმებელია, რომ დასავლეთის ქვეყნების კვლადაკვალ სანყის ეტაპზე თბილისში, შემდეგ კი საქართველოს კიდევ რამდენიმე სხვა რეგიონშიც დაბადებულ ახალშობილებს ასევე რეგულარულად გამოეკვლევათ სკრინინგულად სმენა. აუდიოსკრინინგი მეტყველების დარღვევების დროულ დეფინიციასაც განაპირობებს. ევროპის მასშტაბით სმენაჩლუნგობის ვერიფიკაციის საშუალო ასაკი ბავშვებში 18 თვეა. წინა საუკუნის 70-იან წლებში ეს მაჩვენებელი ევროპაშივე 43 თვე, ანუ ბევრად დაყოვნებული იყო. საერთაშორისო მონაცემებით, სმენადაქვეითებულთა რიცხვი ყოველ 1.000 ახალშობილში 1.10-1.97-ს შეადგენს. ასაკთან ერთად სმენის პათოლოგიათა შემთხვევები მატულობს.

მსუბუქი ხარისხის სმენადაქვეითებულობა მოსახლეთა 1.9-3.1%-ს აღენიშნება. საყურადღებოა, ამასთან, რომ სმენაჩლუნგობა დაბალი, ვიდრე მაღალი სოციალური ფენის მცხოვრებლებში, მათ შორის, ბავშვებში არის უფრო ხშირი.

სმენა და მხედველობა ორი გამორჩეული სენსორული სისტემაა, რომელთა მეშვეობითაც ადრეული ასაკიდანვე ამყარებს ბავშვი კონტაქტს გარემოსთან. ნორმალური მეტყველების და, შესაბამისად, ნორმალური კოგნიტობის ჩამოყალიბებაში სმენა დომინანტ ფუნქციას ასრულებს. სმენადაქვეითებულობისას მნიშვნელოვანია ინდივიდის ასაკი, სმენაჩლუნგობის გამოვლენის დრო, ხარისხი, უარყოფითი დინამიკის პრევენციის და ჰაბილიტაციის-რეჰაბილიტაციის ღონისძიებათა ადეკვატურობა, დროულობა, სისტემატურობა. მეტყველების ჩამოყალიბების პროცესის მიმართ თავის ტვინის სათანადო უზნების სმენა-მეტყველებითი რეგულარული აქტივაცია ექვსი თვის ასაკამდე ბავშვებში გაცილებით უფრო უკეთესი შედეგით მთავრდება, ვიდრე იმათში, რომლებშიც სმენის დაქვეითება მანამდე დიაგნოსტირებული არ ყოფილა და, შედეგად, თავის ტვინის სტრუქტურათა ფუნქციური იმპულსაცია, თუნდაც კონლუარულ იმპლანტთა თუ სასმენ აპარატთა ჩართულობით, არ წარმოებულა. სმენის დაქვეითების ხასიათის და ხარისხის დროულ დადგენას და ჰაბილიტაციის-რეჰაბილიტაციის ოპტიმალურ ღონისძიებათა დროულადვე მოხმობას ნორმალური მეტყველების ჩამოყალიბებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მეტყველების განვითარება, თავის მხრივ, კოგნიტობის, ანუ ცნობიერების დონეს განსაზღვრავს. 2-3 წლის ასაკამდე ბავშვის არაიდენტიფიცირებულმა და, შედეგად, არაჰაბილიტირებულმა სმენაჩლუნგობამ მძიმე შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ასეთ ბავშვებს, კერძოდ, მეტყველების დარღვევებთან ერთად, კოგნიტობის დეფექტებიც აღენიშნებათ და სათანადო, მაგრამ დაგვიანებულ აპარატურულ ჩართულობათა ფონზე მენტალური დისფუნქციები მეტ-ნაკლებად შემდგომშიც უნარჩუნდებათ.

სმენის ფუნქციის უმძიმესი დარღვევების ვერბალური შესატყვისია *სიყრუე*. სმენა ამ დროს იმდენად არის დაქვეითებული, რომ სხვისი ნათქვამი ინდივიდს საერთოდ არ ესმის. სმენაჩლუნგობა თანდაყოლილიც არის და შეძენილიც. აბსოლუტური სიყრუე იშვიათია. სმენადაქვეითებულთა უმეტესობას დაბალსიხშირული

სმენა აქვს შენარჩუნებული, თუმცა ხარისხობრივად და სპექტრალურადც შერჩენილი მეტნილად იმდენად არის ლიმიტირებული, რომ სიტყვათა აღქმის და წარმოქმნის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა. კოხლურული იმპლანტებით თუ სასმენი აპარატებით და სათანადო ლოგოპედიური სერვისით სმენის ჰაბილიტაციის-რეჰაბილიტაციის ღონისძიებათა დაგვიანების შემთხვევაში, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ჩვენთან ადგილი, სმენაჩლუნგ ბავშვებს მეტყველებაც დეფექტური უყალიბდებათ, ვერბალურ დისფუნქციებს კი კოგნიტობის დარღვევებამდე მივყავართ. ნარჩენი სმენის უარყოფითი დინამიკის ბლოკირება, სმენაჩლუნგობის ჰაბილიტაცია-რეჰაბილიტაცია მედიკამენტოზურ მიდგომებთან ერთად აუდიოაპარატურის, კერძოდ, კოხლურული იმპლანტთა თუ სასმენ აპარატთა გამოყენებით და ფონიატრიული ხასიათის სპეციალური სავარჯიშოების მოხმობით ხორციელდება. პრინციპულად მნიშვნელოვანია ნარჩენი სმენის ადრეული ასაკიდანვე ფუნქციონირება, რეგულარული სმენითი დატვირთვები, აუდიოაპარატურის უწყვეტი და არა პერიოდული მოხმარება. მითითებულ პროცედურათა რეალიზაცია სმენის ორგანოს პოზიტიურ ძვრებს განაპირობებს. ხაზგასასმელია, რომ სისტემატური ფუნქციური ჩართულობები არანაირად არ აზარმაცებს სმენის სისტემას, რასაც ზოგიერთი მიიჩნევს არსებულად ჩვენთან. პირიქით, სწორედ დაუტვირთაობას შეუძლია სმენის ორგანოს ფუნქციური ატროფია და, შესაბამისად, მისი გაზარმაცება გამოიწვიოს. სისტემატური დაუტვირთაობის მიზეზით სმენის ორგანოს ფუნქციონირების ნეგატიური დინამიკის შესახებ ნათქვამი სხვა ორგანოების, თუნდაც კუნთების და ცენტრალური ნერვული სისტემის, ცნს-ის, კერძოდ, შესაბამისად კუნთების კუმშვადობის და ცნს-ის კოგნიტობის ხარისხის მიმართაც არის ვალიდური.

სმენაჩლუნგობის ხარისხის შემფასებელი მიდგომები სხვადასხვაა. ამჟამად აუდიოლოგები მეტნილად საერთაშორისო კლასიფიკაციით სარგებლობენ, რომლითაც სმენის დაქვეითება ხუთ კატეგორიად დიფერენცირდება: უმნიშვნელო, მსუბუქი, საშუალო, მძიმე, უძიმესი. სასმენ აპარატთა გამოყენების და სკოლამდელი ასაკიდანვე სათანადო ვერბალური ვარჯიშების ფონზე უმნიშვნელო, მსუბუქი, და საშუალო ხარისხის სმენადაქვეითებულ ბავშვებს ნორმალური სმენის თანატოლებთან ერთად საჯარო სკოლებშიც ხელენიფებად სიარული. სმენაჩლუნგებში გამოყოფენ პრე და პოსტლინგვალებს, ანუ ინდივიდებს, რომელთაც შესაბამისად მეტყველების ჩამოყალიბებამდე და ჩამოყალიბების შემდეგ დაუქვეითდათ სმენა. პრელინგვალებისგან განსხვავებით, პოსტლინგვალებს გამოხატული სმენაჩლუნგობის ფონზეც აქვთ მეტყველების უნარი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული. სმენადაქვეითებულ ბავშვთა უმეტესობაში შიგნითა ყურის, ერთი მხრივ, რეცეპტორულ, ანუ სენ-

სორულ და, მეორე მხრივ, ნერვულ კომპონენტთა კომპლექსურ დაზიანებას, ანუ სენსორინერვალური ტიპის სმენაჩლუნგობას აქვს ადგილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეტყველების განვითარება, თავის მხრივ, ბავშვის კოგნიტობის ევოლუციას განაპირობებს. სმენადაქვეითებულ ბავშვთა გონებრივი, სოციალური, ემოციური პროცესების დინამიკა კარგად არის შესწავლილი. ბილატერალურად სმენადაქვეითებულ ბავშვთა მესამედს, კოგნიტობის გარდა, ყურადღების დეფიციტიც და ქცევითი დარღვევებიც აღენიშნება. ნეგატიური ნიშნის ემოციური პრობლემებიც ანუხებს ბევრ სმენაჩლუნგს.

შესწავლილია სმენადაქვეითებულთა სმენის მახასიათებლები და თანმხლები ფსიქოლოგიური დარღვევები. გაანალიზებულია სმენის ჰაბილიტაციის – რეჰაბილიტაციის გზები და ცალკეულ პროცედურათა ეფექტურობა. სმენადობის მაჩვენებლები, ამასთან, კოხლეაში, ანუ შიგნითა ყურში იმპლანტირებულ ბავშვებშიც არის შეფასებული. მოპოვებული ინფორმაციით, იმპლანტაციის ეფექტი ბავშვის ასაკზე და გონებრივი განვითარების დონეზე არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული: რაც უფრო ადრე ხორციელდება იმპლანტაცია და რაც უფრო უკეთესია იმპლანტირებულის კოგნიტობის ხარისხი, მით მეტია პროცედურის პოზიტივის ალბათობა. სმენადაქვეითებულ ბავშვთა მეტყველების და, შესაბამისად, კოგნიტობის პროგრესისთვის სწორედ ჰაბილიტაციის-რეჰაბილიტაციის დროულობა წარმოადგენს დადებითი შედეგის მოპოვების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ოპტიმუმი უმეტესნილად იმ შემთხვევაში მიიღწევა, როცა სმენის დაქვეითების იდენტიფიკაცია და კოხლურული იმპლანტით თუ სასმენი აპარატით სმენადაქვეითებულობის კორექცია ორნალამდე ასაკის ბავშვებში ხორციელდება.

სმენაჩლუნგობის ხარისხი, როგორც წესი, სუფთა ტონების საშუალოს, სტს-ს მაჩვენებლის მიხედვით ფასდება. სტს-ში სმენის ზღურბლი ოთხ ძირითად სამეტყველო სიხშირეზე ითვალისწინება: 0.5, 1, 2, და 4 კჰც. საქართველოშიც მოქმედი საერთაშორისო კონვენციით, როცა სტს-ს მატება ნორმალური სმენის დონის, ნსდ-ის მიმართ 25 დბ-ს არ სცილდება, სმენის დაქვეითება უმნიშვნელოდ ითვლება და სასმენი აპარატის გამოყენება აუცილებლად არ მიიჩნევა. სმენადაქვეითებულები, რომელთა სტს 26-40 დბ ნსდ-ის ფარგლებშია, სმენის მსუბუქი დაზიანების კატეგორიას განეკუთვნებიან. სასმენი აპარატები მათ განსაკუთრებით მაშინ ესაჭიროებათ, როცა ბგერის წყარო სუსტია ან მოშორებით მდებარეობს. როცა სტს 41-55 დბ ნსდ-ს უტოლდება, სმენის დაქვეითება საშუალო ხარისხად კლასიფიცირდება. სიტყვათა გარჩევითობის უნარი არის ამ დროს უპირატესად დაქვეითებული, რაც სასმენ აპარატთა გამოყენების აუცილებლობაზე მიანიშნებს. სმენაჩლუნგობის მძიმე ხარისხისას, როცა სტს 56-80 დბ ნსდ-ის ზონაშია, სმენადაქვეითებულს მხოლოდ

ხმამალალი ლაპარაკი ან ყვირილი ესმის. ამ ჯგუფის სმენადაქვეითებულებში სასმენ აპარატთა მოხმარება ნებისმიერ აკუსტიკურ გარემოში არის მიზანშეწონილი, აპარატურული ჩართულობა, ამასთან, უმეტესწილად დადებითი შედეგის მომტანია. სმენის დაქვეითების უმძიმესი ხარისხი, როცა სტს 81-90 დბ ნსდ-ს უტოლდება, სასმენ აპარატთა მუდმივ მოხმარებას მოითხოვს, თუმცა სერვისის შედეგი ყოველთვის ოპტიმალური არ არის და იმაზეც არის დამოკიდებული, რამდენად ძალუძს სმენადაქვეითებულს სიტყვათა დიფერენციაციის სირთულეები მოსაუბრის ტუჩების მოძრაობით, მიმიკით, ჟესტიკულაციებით შეავსოს. სმენაჩლუნგობის ზემოქმედებით ხარისხისას, როცა სტს 90 დბ ნსდ-ს აღემატება, სმენის ჰაბილიტაციის რეჰაბილიტაციის ერთადერთ საშუალებად კონსერვატიული იმპლანტაცია რჩება. იმპლანტირების საკითხი უფრო დაბალი ხარისხის სმენადაქვეითებულობის ყველა იმ შემთხვევაშიც განიხილება, როცა სასმენ აპარატთა თუნდაც ექვსთვიანი მოხმარების შემდეგ აპარატურული სერვისის პოზიტივი არ არსებობს, სათუთა, ან სუსტია.

სმენის დაქვეითების რისკ-ფაქტორებს ახალშობილებში განეკუთვნება სამშობიარო ტრავმა, საკეისრო კვეთა, ახალშობილთა ასფიქსია, ჰემოლიზური დაავადება, რეზუს-ფაქტორი, ცერებრალური ჰიპოტროფია, ორსულობის დროს დედის ვირუსული თუ ბაქტერიული ინფექცია, მაგალითად, ნითურა, გრიპი, ჰერპესი, ტოქსოპლაზმოზი. სმენის დაქვეითების რისკ-ფაქტორებს ახალშობილთა დღენაკლულობაც წარმოადგენს. რისკ-ფაქტორებადვე მიიჩნევა ვადაგადაცობილი ორსულობა, ფეხმძიმობის თუ ახალშობილის ძუძუთი კვების პერიოდში დედის მიერ ოტოტოქსიკური მოქმედების მედიკამენტების, მაგალითად, ამინოგლიკოზიდების მოხმარება, მემკვიდრეობითი დაავადებები, მენინგიტი, მწვავე და ქრონიკული ოტიტები, ქალა-ფუძის ტრავმა. სისხლის სისტემური პათოლოგიების, კერძოდ, ლეიკოზის და ნამგლისებურჯერედოვანი ანემიის თანმდევიცაა ზოგჯერ სმენაჩლუნგობა. სისტემურ წითელ მგლურასთან და სისტემურ ვასკულიტთანაც ასოცირდება ის ცალკეულ შემთხვევებში. სენსორინვერალური ტიპის მემკვიდრეობით სმენაჩლუნგობას სმენის რეცეპტორულ უჯრედებში გენების პათოლოგიური მუტაციები განაპირობებენ.

სმენაჩლუნგობის სიხშირე საქართველოში სისტემატურად ჯერ არავის შეუსწავლია. წინასწარი გათვლები სმენადაქვეითებულთა მალალ პროცენტზე მიუთითებენ, ამასთან ფიქრობენ, რომ რეალური ციფრი გაცხადებულსაც ჭარბობს მნიშვნელოვნად. ტუბერკულოზის გავრცელებულობის და, შედეგად, ამინოგლიკოზიდური ჯგუფის ოტოტოქსიკური მოქმედების მედიკამენტების ხშირი და/ან უკონტროლო გამოყენების მიზეზით სმენადაქვეითებულთა რიცხვი საქართველოში, სავარაუდოდ, მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს აღემატება. სმენა-

ჩლუნგობის მალალ პროცენტს არატუბერკულოზური ინფექციებისას ამინოგლიკოზიდთა ასევე ხშირი და ასევე უკონტროლო გამოყენება განაპირობებს. მშობლების ანკეტირება-გამოკითხვის მონაცემებიდან გამომდინარე, სმენადაქვეითებულ ბავშვთა 60%-ში პათოლოგია საქართველოში სწორედ რომ ამინოგლიკოზიდური გენეზისაა.

სმენაჩლუნგობა სმენის რეცეპტორული აპარატის როგორც თანდაყოლილი, ისე შექმნილი დაზიანებების, მაგალითად, ასაკობრივი ცვლილებების შედეგი შეიძლება იყოს. ზოგჯერ ის შინაგანი პათოლოგიებით, მაგალითად, სისხლის მიმოქცევის დარღვევებით, გარეფაქტორთა მავნე ზემოქმედებით, მაგალითად, ხმაურით, ოტოტოქსიკური მოქმედების მედიკამენტების, მაგალითად, ამინოგლიკოზიდების გამოყენებით, თამბაქოს მოხმარებით, საყურისული მუსიკის სისტემატური მოსმენებით, მექანიკური ტრავმით, სიმსივნური წარმონაქმნებით, მაგალითად, აკუსტიკური ნევრომით არის ინიცირებული.

სმენაჩლუნგობის გამომწვევ ფაქტორებს ჰორმონალური დისფუნქციებიც, კერძოდ, პანკრეასის (შაქრიანი დიაბეტი) და ფარისებრი ჯირკვლის (თირეოტოქსიკოზი) პათოლოგიებიც განეკუთვნებიან. სმენაჩლუნგობის მიზეზთა შორის ემოციური სტრესიც და შიგნითა ყურის მკვებავი არტერიის კომპრესიით და/ან სპაზმებით განპირობებული ლოკოკინის სისხლის მიმოქცევის მოშლილობებიც და, შედეგად, რეცეპტორთა დისტროფიული ცვლილებებიც სახელდება. დამაზიანებელი ეფექტი ცხოვრების არაჯანსაღი წესის, მაგალითად, ცხარე, მწარე, მლაშე, ცხიმოვანი საკვების, ალკოჰოლის რეგულარულ და/ან ხშირ მოხმარებათა თანმდევიცაა.

როგორც აღინიშნა ზემოთ, სმენის დაქვეითება ახალშობილებში საკმაოდ ხშირია: გლობალური მონაცემებით, ყოველ 1.000 ახალდაბადებულთაგან სმენის პათოლოგიას 1-5 ინდივიდში აქვს ადგილი. სმენაჩლუნგობის დაგვიანებული გამოვლენა და, შედეგად, შესაბამის საჰაბილიტაციო-სარეჰაბილიტაციო ღონისძიებათა დაგვიანებული ჩატარება მეტყველების განუვითარებლობას, დეფექტურობას, არსებულის რეგრესს, ფსიქოსოციალურ ჩამორჩენას, არასრულფასოვნობის კომპლექსის ჩამოყალიბებას, კოგნიტობის დეფიციტს, საზოგადოებაში ინტეგრირების ბლოკირებას იწვევს.

ახალშობილთა სმენის რეგულარული და მასობრივი სკრინინგი საქართველოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველად 2003 წელს ინიცირდა. ნეონატთა სმენის სისტემატურ ვერიფიცირებას თბილისის ყველა სამშობიარო სახლში უკვე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი 2006 წელს შეუდგა და სათანადო პროცედურებს დღემდე უწყვეტ რეჟიმში ასრულებს. ამჟამად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშივე სმენის სკრინინგი, თბილისის გარდა, საქართველოს სხვა რეგიონებშიც, მაგალითად,

ბათუმში დაბადებულ ყველა ახალშობილს უტარდება. სკრინინგის ტესტი გამონვეული ოტოაკუსტიკური ემისიის, გოაე-ის რეგისტრაციით რეალიზდება, გოაე კი ბგერით სტიმულთა პასუხად სმენის რეცეპტორების, ანუ ლოკოკინის ნაშნამოვანი უჯრედების აქტივაციის შედეგია. სმენის ყოველდღიური მასობრივი ტესტირების პარალელურად, აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში პრობლემის ირგვლივ თეორიული ხასიათის კვლევებიც ჩატარდა. შედეგებმა 17 ნაშრომში ჰპოვა ასახვა, რომელთაგან რვა – ინგლისურ, დანარჩენი ცხრა – ქართულ, გერმანულ, და რუსულ ენებზე არის შესრულებული და როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ გამოქვეყნებული. მოპოვებული მონაცემებიდან გამომდინარე, აუდიოსკრინინგის ჩატარების ოპტიმალურ დროის პერიოდად ახალშობილებში დაბადებიდან მეხუთე და მომდევნო დღეები ცხადდება. მანამდე, განსაკუთრებით პირველი ორი დღის პერიოდში, ახალშობილთაგან ბევრს გარეთა და/ან შუა ყურში სანაყოფო სითხის არსებობა აღენიშნება, რის გამოც სკრინინგის ტესტი ჯანმრთელი შიგნითა ყურის ფონზე, ანუ ფსევდოპათოლოგიურად ფასდება უარყოფითად.

ბოლო დროს ახალშობილთა სმენის სკრინინგმა საქართველოში კიდევ უფრო მასშტაბური და კიდევ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო. შესაბამისად, ამ მიმართულებით ქვეყანამ თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის ფარგლებში ლიდერის პოზიცია განიმტკიცა. სკრინინგის აპარატზე *fail*-ის ინდიკაციით, ანუ უარყოფითად ტესტი საშუალოდ გამოკვლეულთა 1.4%-ში შეფასდა. მათგან 1.0%-ში მომდევნო პერიოდში ჩატარებულმა ტიპანომეტრიამ შუა ყურში სითხის არსებობაზე მიუთითა, დანარჩენ 0.4%-ში კი ობიექტურმა აუდიომეტრიამ, კერძოდ, ტვინის ლეროს სმენის პასუხის, ტლსპ-ის, და/ან ავტომატური სტაბილური სტატუსის პასუხის, ასსპ-ის, და/ან ნელი ქერქული პასუხის, ნქპ-ის, კომპიუტერული ჩანანერებით სენსორინვერალური ტიპის სმენის დაქვეითება ვერიფიცირდა, ამასთან ყველა შემთხვევაში ოთხ ძირითად სამეტყველო სიხშირეზე, ე.ი. 0.5, 1, 2, და 4 კჰც-ზე ობიექტური აუდიოგრამა შემუშავდა.

აუდიოლოგიის ეროვნულმა ცენტრმა ერთ-ერთმა პირველმა დანერგა პრაქტიკაში ელექტრული პასუხებით აუდიომეტრია, ეპა, ანუ ინდივიდთა აუდიოლოგიური სტატუსის შეფასება სმენის გამონვეული პოტენციალების, სგპ-ების კომპიუტერული გაშუალედების მიდგომით. ეპა-ის პრობლემათა საკითხებზე ცენტრში შესრულებული და საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებული სანყისი პუბლიკაციები გასული საუკუნის 70-ანი წლებით თარიღდება. ცენტრმა ერთ-ერთმა პირველმავე მოიხმო ობიექტურ აუდიომეტრიულ კვლევებში ტლსპ-ის რეგისტრაციის მეთოდი. ტლსპ-ის ჩანანერებით სმენის რეტროკოხლეარული პათოლოგიებიც, კერძოდ, აკუსტიკური ნევრომა ვერი-

ფიცირდება. კოხლეარული იმპლანტაციის პროცესებშიც არის ცენტრი აქტიურად ჩართული. ინდივიდთა შერჩევა იმპლანტაციისთვის, იმპლანტთა დარეგულირება, იმპლანტირებულთა ლოგოპედიური სერვისი, ანუ მეტყველების ადეკვატური ჰაბილიტაცია-რეჰაბილიტაცია საქართველოს და კავკასიის მთელი რეგიონის მასშტაბითაც სწორედ აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში ხორციელდება კომპლექსურად. ისიც აღსანიშნავია, რომ 90-ან წლებამდე სასმენ აპარატთა სერვისი საქართველოში არ არსებობდა. აუდიოაპარატურის სისტემატური იმპლემენტაცია ქვეყანაში ქართველ და გერმანელ აუდიოლოგებს შორის ხანგრძლივ და წარმატებულ თანამშრომლობას დაეფუძნა. გერმანელი აუდიოლოგები საქართველოში, კერძოდ, თბილისში, და ქართველი აუდიოლოგები გერმანიაში, კერძოდ, ერლანგენში, მაგდებურგში, დრეზდენში, მიუნხენში, ჰალბერშტადტში, წლების განმავლობაში აუდიოლოგიური პროფილის ერთობლივ თეორიულ-სამეცნიერო და/ან პრაქტიკულ-კლინიკურ კვლევებში იყვნენ და არიან აქტიურად ჩაბმულნი. აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მიერ გერმანელ კოლეგებთან თანაავტორობით 127 სამეცნიერო ნაშრომი არის შესრულებული. მათგან 66 და 32, შესაბამისად 52% და 25%, ჯამში 98, ანუ ჯამშივე 77%, ინგლისურ და გერმანულ ენებზე მეტწილად ცენტრალურ საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში არის გამოქვეყნებული. დანარჩენ ერთობლივ ნაშრომთაგან 17 – რუსულ, 12 – ქართულ ენაზე არის პუბლიცირებული: შესაბამისად 13% და 10%, ჯამში 29, ანუ ჯამშივე 23%. აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორი აუდიოლოგიის სფეროში ოთხ გერმანელ დისერტანტსაც თანახელმძღვანელობდა-კონსულტირებდა. ქართველ და გერმანელ აუდიოლოგებს შორის რეგულარულ და პროდუქტიულ კავშირურთიერთობათა გათვალისწინებით, სასმენი აპარატების ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ სახელწოდებით – *Kind-Hörgeräte* – ფილიალი თბილისში სწორედ აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის ბაზაზე დააფუძნა, ამასთან სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, თავად გერმანიასთანაც შედარებით საკუთარი პროდუქცია საქართველოში გაცილებით უფრო იაფად წარმოაჩინა. მაღალი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ გერმანელ და ქართველ აუდიოლოგებს შორის მჭიდრო და ორმხრივპოზიტიური კავშირები კოხლეარულ იმპლანტთა მწარმოებელმა გერმანულ-ავსტრიულმა ფირმა *MedEl*-მაც გაითვალისწინა და საქართველოსთვის მოწოდებულ იმპლანტებზე სხვა ქვეყნებში, თავად გერმანიაში და ავსტრიაში იდენტურ იმპლანტთა ღირებულებებთან შედარებით ათასობით ევროთი უფრო დაბალი ფასები დაანესა.


სამეცნიერო ხასიათის აუდიოლოგიური კვლევები საქართველოში აქტუალურია, საერთოდ, სმენადაქვეითებულთა შთამბეჭდავი რიცხვის გამო, განსაკუთრე-

ბით. სმენაჩლუნგობის მაღალ პროცენტს, თავის მხრივ, კოხლეარული იმპლანტაციისთვის და სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვისაც უნდა მიეცა საქართველოში ბიძგი. რიგი ღონისძიებებისა ამ მიმართულებით მართლაც დროულად და წარმატებით განხორციელდა. მსოფლიოში კოხლეარული იმპლანტაციის პირველი ოპერაციების შესრულებისთანავე იმპლანტაციისთვის სათანადო თეორიული ბაზის მომზადება დაიწყო საქართველოში. შედეგები ფართო ფორმატის მონოგრაფიაში შეჯერდა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მონოგრაფიის ავტორებს ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია მიანიჭა. იმპლანტირებულთა მომსახურებისთვის და იმპლანტთა დარეგულირებისთვის აუცილებელი პროფესიული კადრი შეიქმნა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა მომზადდა. გერმანულ სპეციალისტებთან თანაავტორობით იმპლანტაციის პრობლემებზე ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა: მათგან ნაწილი – ქართულ, ინგლისურ, და რუსულ ენებზე საქართველოში, ნაწილი – ინგლისურ და გერმანულ ენებზე საზღვარგარეთ. სამეც-

ნიერო ნაშრომთა კომპლექსმა ბიძგი მისცა და გარკვეულწილად განაპირობა კიდევ კოხლეარული იმპლანტაციის ინიციატა და წარმატებები საქართველოში. იმპლანტაციის თემატიკაზე შესრულებულ გამოკვლევათა შედეგები სოლიდურ მონოგრაფიაში შეჯერდა. მონოგრაფიის და, მასთან ერთად, იმპლანტაციის თემატიკაზევე საერთაშორისო პერიოდიკაში გამოქვეყნებული ათეულობით, ძირითადად ინგლისურენოვანი ნაშრომების ავტორებს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭათ. კოხლეარული იმპლანტაციით სმენაჩლუნგობის ჰაბილიტაციის-რეჰაბილიტაციის პრობლემათა აქტუალობამ, საერთოდ, სმენადაქვეითებულთა მაღალი რიცხვის გამო საქართველოსთვის, განსაკუთრებით, პრემირებული მონოგრაფიის და თანდართული ნაშრომების ხასიათი განაპირობა. იმპლანტაციის პრობლემების თეორიულ საკითხთა კომპლექსი არის მათში უპირატესად მიმოხილული. წარმოდგენილი მონაცემები, ამასთან, პრაქტიკულ დატვირთვათა მატარებლებიც არიან და, შესაბამისად, კლინიკური აუდიოლოგიის, ანუ ოტოლოგიის სფეროსაც განეკუთვნებიან.



აუდიოლოგიის, სასმენი აპარატების, კოხლეარული იმპლანტების, ტონალური აუდიომეტრიის, ვესტიბულომეტრიის და ფონიატრიის განყოფილებები გადაღებული ფოტოები.






მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.
№13, VI სართული

ტელეფონები: 0322 23 13 16; 599 90 04 66

e-mail: odavitashvili@yahoo.com

არჩილ ხომასურიძე ეროვნულ საქმეს ემსახურება

არჩილ ხომასურიძე გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. სპეციალობა – ენდოკრინოლოგია, მეან-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია, უროლოგია-ანდროლოგია, სამედიცინო მიმართულებები – რეპროდუქტოლოგია, გინეკოლოგია, მეანობა, ენდოკრინოლოგია. პრაქტიკული საქმიანობა – ქალისა და მამაკაცის უშვილობა, ხელოვნური (მედიკამენტური და ქირურგიული აბორტი), კონტრაცეფცია, ოჯახის დაგეგმვა, ენდომეტრიოზი, საკვერცხეების პოლიკისტოზი, საშვილოსნოს მიომები, მენსტრუალური ციკლის მოშლილობანი, ქალისა და მამაკაცის კლიმაქტერიული სინდრომი. *in vitro* განაყოფიერებანი, სქესობრივი მოშლილობანი, მკერდის დაავადებები, ორსულობის მონიტორინგი. წარმატებული ექიმი და მეცნიერი სიამაყით ამბობს, – საქართველოში აბორტის დამარცხება პროფესორ ჟორდანიას და პროფესორ ხომასურიძის კლინიკის დამსახურებაა.



1962 წელს, 20 ივნისს თვითმფრინავი დუგლასი ბუენოს-აირესიდან ასრულებდა რეისს რიო-დე-ჟანეიროდან ლისაბონში, როდესაც ხომალდი ასაფრენად დაიძრა, თვითმფრინავის პროპელერი დაზიანდა და ოთხივე ძრავა გაჩერდა. ის აეროპორტის კედელს შეეჯახა, მეზობელი ბილიკი გადაკვეთა და ოკეანეში ჩაეშვა. ჯერ ნაპირთან ახლოს დრეიფობდა, შემდეგ 8 მეტრი სიღრმეზე ოკეანეში ჩაიძირა. კატასტროფას 15 ადამიანი ემსხვერპლა – ეკიპაჟის ერთი წევრი და 14 მგზავრი...

გადარჩენილი მგზავრებიდან ერთ-ერთმა, პროფესორმა პლატონ შუშანიამ, საზოგადოებას უამბო: როდესაც თვითმფრინავი წყალზე გაჩერდა, მგზავრებმა ტანსაცმელი გაიხადეს და მაშველი რგოლები მოირგეს. მე და იოსებ ჟორდანია თვითმფრინავის ფრთაზე ვიდექით. ამოდ ვთხოვდი, მომეჭიდე და ნაპირამდე გაგიყვან, მან თავი გააქნია, ორივე დავიხრჩვებით, თავს უშველე. იოსებმა ცურვა არ იცოდა, არც მაშველი რგოლი ჰქონდა. თავისი რგოლი თვითმფრინავის სალონიდან გამოსვლამდე პატარა გოგოს მისცა, როგორც მოგვიანებით გავიგე, უბილეთო იყო, სავარაუდოდ, მაშველი რგოლი ამიტომ არ ჰქონდა.

პროფესორის თავგანწირვას სკეპტიკოსები გამოუჩინდა, ამიტომ არჩილ ხომასურიძე სიმართლის დასადაგენად მოსკოვში ჩავიდა და გადარჩენილ მგზავრებს გაესაუბრა: იმ დროს ცოცხალი იყო სამი ქალბატონი, სამივე ცნობილი პროფესორი, მათ მიაშვეს, როცა თვითმფრინავმა რყევა დაიწყო, სალონიში პანიკა ატყდა, დაბნეული ხალხი საავარიო გასასვლელს მიაწყდა, სწორედ ამ დროს ქალბატონებმა ატირებულ გოგონას მოკრეს თვალი, რომელსაც მაშველი რგოლი არ ჰქონდა და დახმარებას ითხოვდა, ჟორდანიათ თავისი მაშველი დაუფიქრებლად მისცა.

დიდბუნებოვანმა ექიმმა მთელი ცხოვრება ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობას მიუღვნა. ბოლოს კი საკუთარი სოცოცხლეც შესწირა.



იოსებ ჟორდანია

2024 წელს ბატონ არჩილს საპატიო თბილისელის ნოდება მიანიჭეს. ვულოცავთ, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

1958 წელს უშვილობის სამკურნლო ინსტიტუტი საქართველოში პროფესორმა იოსებ ჟორდანიათ დაარსა. მეცნიერმა და ექიმმა სამი ათეული წელი გაუსწრო ეპოქას. მისი ცხოვრება და გარდაცვალება საარაკო გმირობის ამბავს გვაგონებს!..



არჩილ ხომასურიძე, კახი კალაძე



რეზო ციციშვილი

1962 წელს იოსებ ჟორდანიას სახელი ეწოდა თბილისში მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს.

სულ მალე ესტაფეტა წარმატებულ ექიმს და მეცნიერს არჩილ ხომასურიძეს გადაეცა.

ბატონ არჩილს უყვარს გურია და გურულები, საუბარს წინაპრებით იწყებს: ბაბუას ავთონი ერქვა, ბებია – ფლორენცია. ბებიაჩემმა დაარქვა დედაჩემს სახელი ვანანა. გურული სხარტად მკითხავს რატომ ვანანა? ბებიაჩემს ორსულობის დროს წაუკითხავს ვანინა ვანინი, ვანინის პერსონაჟი მოეწონა, ამიტომ დაარქვა ვანანა. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს ჩემი ნათესავების უჩვეულო სახელები, მაგრამ მაშინ მოდად ყოფილა, განსაკუთრებით გურიაში, ისედაც უყვართ გურულებს ყოველივე უცხო სუბიექტი და ადვილად ახერხებენ ამას... რაც შეეხება ჩემს სახელს, ბებია, ფლორენცია ჯაყელმა დამარქვა. იგი მესხი თავადების შთამომავალი იყო, განათლებული, კულტურული, ბათუმის გიმნაზიაშიც სწავლობდა. ბაბუა ჩოხტაურის მაზრის უფროსი



ავთონ ცინცაძე და ფროლენცია ჯაყელი შვილებთან ერთად

იყო, განკულაკების შემდეგ ძველი, თავადური სახლ-კარი მაინც ჰქონდათ ჩოხტაურის რაიონის სოფელ იანეულში.

– ბატონო არჩილ, დედა, ვანანა ცინცაძე თქვენი იდეალია, როგორ დაახასიათებთ?

– ბრძენი, დარბაისელი, სამართლიანი, განათლებული, მთელი ცხოვრება მომიძღვნა, ომის დროს დავიბადე, ეკონომიურად გვიჭირდა, მამას ღია ფორმის ტუბერკულოზი ჰქონდა, მამიდეცი ამ დავადებით გარდაიცვალენ. ოროთახიან ბინაში ცხოვრობდით ძველი ორჯონიკიძის, ახლა თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ცივ წყალს ნავთქურაზე ათბობდა, მძიმე პირობების მიუხედავად, ტუბერკულოზი არ მქონია, მამა გამოაჯანმრთელა. მამა გიორგი ხომასურიძე რაჭველი იყო, 52 წელი იმუშავა აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, დღეს ყველა აღიარებს, საქართველოში აბრეშუმსაქსოვი მრეწველობა მამამ დაარსა.

ყოველ ზაფხულს დედას მივყავდი იანეულში, თვეობით ვრჩებოდით იქ და მიმაჩნია, ცხოვრებაში რაც კარგი რამ გამოიყვამე მეგზურად, გურიიდან წამოვიღე, ამიტომ თავს უფრო გურულად ვგრძნობ, გაგეცინებათ და, უფრო მეტ ცინცაძედ, ვიდრე ხომასურიძედ.

– როგორ დაიწყო თქვენი საექიმო და სამეცნიერო მოღვაწეობა?

– 22 წლის ახალგაზრდა ქალაქ მოსკოვში წავედი, ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, ასპირანტურაში ჩავაბარე, სადოქტორო დისერტაცია დავიცავი. დღისით ვსწავლობდი, ხოლო ღამით კურსკის სადგურზე მტვირთავად ვმუშაობდი. იოსებ ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ, ედუარდ შევარდნაძემ სამინისტროს დაავალა, კარგი კადრი მოეძებნათ, ვინც ინსტიტუტს უხელმძღვანელებდა. საქართველოში ჩამოსვლა შემომთავაზეს. მოსკოვის წამყვან კლინიკებში ვმუშაობდი. რადგან პრეზიდენტის ბრძანება იყო, ისევ ჰკითხეს ჯანდაცვის მინისტრს გელა ლეჟავას, მან საქმის მოგვარება თავის მოადგილეს იგორ ჩოჩუას დაავალა, იგორი ჩემი მეგო-



პატარა არჩილი მშობლებთან ერთად

ბარი იყო. დედას დაურეკა, უთხრა, – არჩილს ჟორდანის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობას სთავაზობენ, უარს ამბობს. აცრემლებულმა შემომჩვილა, – 70 წლის ვარ, უშენოდ როდემდე ვიყო, დედის თხოვნის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი.

– აბორტის წინააღმდეგ რთული პერიოდი გაიარეთ.

– სიამაყით ვამბობ, საქართველოში აბორტი დამარცხებულია!.. სამედიცინო ინსტიტუტს ახალგაზრდა მხოლოდ იმიტომ ირჩევდა, რომ გინეკოლოგი გამხდარიყო, შემდეგ აბორტებით ფული ეშოვა. გინეკოლოგებს აბორტმახერები ვეძახდი. ზოგიერთი სხვა

პროფესიის ადამიანი იყო, ტერმინი მე მოვიფიქრე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, აბორტის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა დავიწყე. მემუქრებოდნენ, – საქართველო დატოვე, თორემ მოგკლავთ. დიდ მაფიას დავუპირისპირდი. შემდეგ დაიწყო დასავლეთის მხარდაჭერა, ქალების განათლება, ინფორმირება, როგორ უნდა გამოიყენონ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. ჟურნალისტების თანადგომა მნიშვნელოვანი იყო, საერთაშორისო ორგანიზაციები ფორუმებს მართავდა, წელიწადში 300 000 ხელონვეური აბორტი – მსოფლიო ჩემპიონები გავხდით. დღეს მინიმუმადე შემცირდა, მაგალითად, როგორც ჰოლანდიაშია, 2000-მდე დარჩა. უცხოეთის დაფინანსებით და ჟურნალისტების მხარდაჭერის შედეგად, ქართველმა ქალმა იცის, აბორტი მისი ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანოა!..

– რა სიახლეებია პროფესორ ჟორდანისა და პროფესორ ხომასურიძის ინსტიტუტში?

– დღეს რეპროდუქტოლოგია ტურბულენტურად განვითარებული სამედიცინო დისციპლინაა, რაც მთავარია, დამოუკიდებელი, არ არის მეანობა-გინეკოლოგიის ნაწილი, რაც ჩვენი დამსახურებაა, რადგან აერთიანებს არა მარტო ქალბატონებს, არამედ მამაკაცებს – უშვილობა, იმპოტენცია, ციკლის მოშლა, კლიმაქტერიული სინდრომი. 90-იან წლებში დავიწყე ფიქრი, არსებობდა ქალთა კონსულტაციები, კაცის სასქესო ფუნქციაზე არავინ ზრუნავდა, ამიტომ გაერთიანდა და შეიქმნა რეპროდუქტოლოგია. გინეკოლოგები დაგვიპირისპირდნენ, შემოსავალს კარგავდნენ, გვებრძოდნენ, თუმცა 2020 წელს საბოლოოდ ისინი დავამარცხეთ. დღეს ჯანდა-



ქართველ მეან-გინეკოლოგთან ელიტა: იოსებ ჟორდანია (შუაში), კოტე ჩაჩავა (მარცხნივ), ჯემალ ციციშვილი (მარჯვნივ)



სახლი იანეულში

ცვის სამინისტროს ვებგვერდზე რეპროდუქტოლოგია დამოუკიდებელი სამედიცინო დისციპლინაა. დაარსდა ლაპარასკოპია, ოპერაცია გაჭრის გარეშე, მამაკაცებში ჩამოყალიბდა ანდროლოგია, რეპროდუქტოლოგიას შეუერთდა, ყურადღება გავამახვილეთ კლიმაქტერიულ სინდრომებზე. 2000 წელს ინვიტროგანაყოფიერების შედეგად, პირველი სინჯარის ბავშვი დაიბადა. ახლა ის 25 წლისაა.

– რა არის მამაკაცებში უშვილობის მიზეზი?

– ბევრი მიზეზია – ეკოლოგია, დაბინძურებული ჰაერი, წყალი, გრუნტი, გამონაბოლქვი, შემდეგ ენდოკრინული მოშლილობა – ზედმეტი წონა, ალკოჰოლი, ნარკოტიკი, გენეტიკური ფაქტორები, მართალია, არსებობს მკურნალობის მეთოდი, თუმცა პროფილაქტიკის მეთოდი უცვლელია – ეკოლოგიურ პრობლემებს ვერ ვაგვარებთ.

– რეპროდუქტოლოგია პრესტიჟული მიმართულებაა...

– რა თქმა უნდა, პოპულარული დარგია, ყველას აინტერესებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ვარ მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე, ვკითხულობ ლექციებს, ასევე, რეპროდუქტოლოგიაში სახელმწიფო პროგრამის დირექტორი, ვამზადებთ ექიმებს. თავიანთ რიგს ელოდებიან.

– ბატონო არჩილ, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს, მათ შორის ჩოხატაურს დღემდე ეხმარებით.

– 2006 წლამდე საერთაშორისო პროგრამებით გათვალისწინებული დახმარება, სამედიცინო აპარატურა, ცა-

მეტი წლის მანძილზე სრულიად საქართველო იღებდა ჩვენს მიერ ჩამოტანილ კონტრაცეპტივებს. დიდი თანხა დაიხარჯა. ჩოხატაურში კლინიკის თანამშრომლებთან ერთად, ვატარებთ უფასო კონსულტაციებს. 350 ქალბატონს მოვემსახურეთ, 150 ექოსკანირება. არასახარბიელო მდგომარეობაა. მაია პაიჭაძემ პოლიტიკა აირჩია, ის კარგი ექიმაა, ასეთი კადრი სჭირდება მუნიციპალიტეტს. თქვენი ჟურნალის საშუალებით მივმართავ ადგილობრივ ხელისუფლებას და პარლამენტის წევრს, რატომ არ უნდა აღდგეს ასეთი ტრადიციების მქონე სამშობიარო? რატომ უნდა მიდიოდეს ორსული ქუთაისში და ბათუმში? პოლიტიკოსები მსგავს თემებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს იხსენებენ, შემდეგ ავინწყდებით. კონსულტაციების დროს, პარლამენტის წევრი ვასილ ჩიგოგიძე გავიცანი, მითხრა, ჩოხატაურის სამშობიარო სახლის პრობლემებზე ფიქრობს. სახელმწიფომ ადგილობრივ ხელისუფლებას იმ პირობით უნდა მისცეს, თუ გარკვეულ ვადაში აამოქმედებს. გურულებო, ახალ წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, გურულ სუფრაზე პირველი სადღეგრძელო მშვიდობაა. ყოჩაღ მათ, ვეთანხმები, მთავარია, იშრომონ, არ იზარმაცონ!..

რედაქციისგან: ბატონ არჩილს და ჟურნალის მკითხველებს დატბორილი ეზოს და განადგურებული შენობის ფოტოებს ვთავაზობთ. ასე გამოიყურება საუკეთესო ტრადიციების მქონე ჩოხატაურის სამშობიარო სახლი!..


ლელა სურმავა

როხათაურის სამშობიარო სახლი!..





არჩილ ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი



პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

რჩევები მივმართოთ ბავშვთა გინეკოლგს?

ბავშვთა და მინარჩა გინეკოლგ-რეპროდუქციოლოგები: ნანა ჩოღვაშვიდი; ხალიმე საბუღა.

დაჯავშნეთ ვიზიტი: 224 00 99; 224 00 98.

პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

თესვება და თრეპლანტაცია

თამარ დიაკონიძე
მედიკ-გინეკოლოგი, რეპროდუქციოლოგი

დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 224-00-98; 032 224-00-99



პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 24 00 99; 032 24 00 98

მან-მინერალოგი ნინო ღალიუვა

პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 24 00 99; 032 24 00 98

მამულური - ირინე მარსენია



პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

რჩევები მივმართოთ ბავშვთა გინეკოლგს?

ბავშვთა და მინარჩა გინეკოლგ-რეპროდუქციოლოგები: ხალიმე საბუღა.

დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 224 00 99; 032 224 00 98.

პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

ღიმტოციტიმუნობაცია

მედიკ-გინეკოლოგი ნატალია რუსაუვა

დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 224 00 99; 032 224 00 98.



პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

რა ინვესტს საშვილსნოს მითმას და რეგორია მისი მკურნალობის მეთოდები?

მედიკ-გინეკოლოგი, რეპროდუქციოლოგი ამნათინ დირჩხაგაძე

დაჯავშნეთ ვიზიტი: 224 00 98; 224 00 99.

პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

D - ვიტამინი და მისი მნიშვნელობა

დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 24 00 99; 032 24 00 98.

კანტარაძის სუბინფორმის ნანა კანტარაძე



პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი


დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 24 00 99; 032 24 00 98

ქაინი-რეპროდუქციოლოგი - მკამრინე მარსენია

პროფ. ვარდანაშ და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქციული ინსტიტუტი

დაჯავშნეთ ვიზიტი: 032 24 00 99; 032 24 00 98

ქაინი-რეპროდუქციოლოგი - გიორგი ნარიალაშვილი



მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №13, VII-ე სართული
 ტელ: (995 32) 2 24 00 99
 e-mail: info@reproinstitute.ge

<http://www.reproinstitute.ge>

ანასეულის ლაბორატორია ქვეყნის სამსახურშია

ანასეულის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა 60 წლის იუბილე აღნიშნეს. ადამ ბერიძის სახელობის სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრ ანასეულის დირექტორი სოსო ბასილია ლაბორატორიულ კვლევებზე, ჩაის კულტურის მსოფლიო მასშტაბით ცნობადობის ამაღლებაზე მოგვითხრობს.

– როდის გაიხსნა ლაბორატორია?
– ლაბორატორია მას შემდეგ გაიხსნა, რაც ჩვენს ქვეყანაში ფაროსანა მომრავლდა. ფაროსანას მიერ განადგურებულმა ფართობებმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. მაგნე მწერი დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ კლიმატს კარგად შეეგუა, ფაქტობრივად, ყველა კულტურა გაანადგურა, – მსხალი, კიტრი, პომიდორი, წინაკა, ლობიო, ბუშმალა, ყველაზე მეტად ბულგარულ წინაკას ეტანება. აფუთქარების შედეგად, დიდი რაოდენობით შთამომავლობა გაჩნდა, დასავლეთ საქართველო ძალიან დააზინა. ამიტომ გადაწყდა, ფაროსანას წინააღმდეგ შეიქმნას მტერი, რაც მას გაანადგურებს. ბიოლოგიურ ლაბორატორიაში მიმდინარეობს მწერთან ბრძოლა. ახლა მოსვენების პერიოდი აქვთ, დახურულ შენობებში არიან, გაზაფხულზე გამოდიან და მრავლდებიან.

– თქვენ აღნიშნეთ, ფაროსანა ძირითადად დასავლეთ საქართველოში მომრავლდა, რატომ დასავლეთში და არა აღმოსავლეთში?

– აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მკაცრი კლიმატია. არ გამოვრიცხავ, მომავალში იქ გადავიდეს, ამის ნიშნები გვაქვს, ნელ-ნელა მთელ საქართველოს მოედება. სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში

ბში ყოველდღიურად მიმდინარეობს მონიტორინგი, არსებობს დაავადება ნოზემა, ფაროსანა უკვე დაავადებულია, ამიტომ ჯანმრთელი პოპულაციების ნახვა გაჭირდა, საბედნიეროდ, ბუნებაში არსებობისათვის ბრძოლა მიმდინარეობს, თუ ერთი მწერი სხვებთან შედარებით უპირატესობას მოიპოვებს, პროცესს ისევ ბუნება აწესრიგებს. ასე რომ, ბუნებაც გვეხმარება, ჩვენ ქიმიური მეთოდებით ვებრძვი, უკვე დაღმავალი მრუდია, სამი-ოთხი წლის წინ უფრო მეტი იყო. ქიმიურ საშუალებები უარყოფითად მოქმედებს მცენარეებსა და ბუნებაში არსებულ



რუსუდან ტაკიძე

სხვა მწერებზე. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ბუნებრივი მტერი, რომელიც მარტო ფაროსანას დააზინებს და ბუნებაში იარსებებს, როგორც სასარგებლო მწერი.

– რა კვლევები ტარდება ლაბორატორიაში?

– ბუნებაში უამრავი დაავადებაა. არის მწერები, რომლებიც ხეხილოვან და ბოსტნეულ კულტურებს აზიანებს. მათ წინააღმდეგ საჭიროა დიაგნოსტიკა, მაგალითად, თუ ვაზი ბევრ ნაყოფს არ ისხამს, ან სხვა კულტურა – რატომ ხმება თხილი? მოგვმართავენ ბენეფიციარები, გვეკითხებიან. გურიაში და სამეგრელოში თხილმა მასობრივად დაიწყო ხმობა. ჩვენი ლაბორატორია გამოიწვევს მიზეზებს იკვლევს. შეიძლება იყოს ნიადაგური პირობები, საკვები ელემენტების დეფიციტი, ან მცენარეა დაავადებული. მიმდინარეობს დიაგნოსტიკა და მასთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება. იმერეთში მასიურად დაავადდა ნა-



სოსო ბასილია

ბლი, მაგნე მწერი ენდოთეა ნაბლის ხმობას იწვევს. ვთანამშრომლობთ სატყეო დეპარტამენტთან, გვაქვს ერთობლივი პროექტი, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში მიმდინარეობს კლასიკური კავკასიური ნადვის ხმობა, რთული ვითარებაა. მაგნებელი მწერი ტიპოგრაფი თუ დასახლდა, მცენარეს ახმობს, ეს მცირე დროში არ ხდება, მაგრამ რიცხობრიობის ზრდა, უარყოფით შედეგს იწვევს.

– ბატონო სოსო, ჩოხატაურელი ბრძანდებით, რა მდგომარეობაა ბახმაროში?

– როდესაც სატყეო დეპარტამენტმა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის პრობლემებზე მოგვმართა, ვიფიქრეთ, მსგავსი ვითარება ხომ არ არის ბახმაროში, რამდენიმე ადგილას მოვანყვეთ ხაფანგები, ამ ეტაპზე მცირე რაოდენობაა.

– რა საიხლებია ანასეულში?

– ძირითადად ციტრუსების მიმართულებით ვიკვლევთ. მოგესხენებათ, მანდარინი და ლიმონი ახლა იკრიფება, თუ საადრეო ჯიშებს გამოვიყვანთ, რომლებიც აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში დამნიფდება, ასეთი ჯიშები ფერმერებს აინტერესებთ. ადრეულ პროდუქტს მაღალი ფასი აქვს, როცა მასიურად შემოდის, ფასი დაბლა იწვეს.

– გურული ჩაი გამოირჩევა კარგი გემოვნური თვისებებით, აუცილებელია ჩაის კულტურის ცნობადობის ამაღლება!..

– 2016 წლიდან მოქმედებს ჩაის აღდგენის სახელმწიფო პროგრამა, 2000 ჰა ფართობი აღდგა, თუმცა 67 000 ჰა ფართობიდან 2000 ჰა-ის გადარჩენა, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს, სამი თეული წელი ბაზარზე





ქართული ჩაის მოთხოვნა შენედა. აუცილებელია უცხოეთში რეკლამირება, როგორც ქართული ღვინის ცნობადობა ამაღლდა, სხვადასხვა ფესტივალებზე ჩაიც ნავილოთ. მენარმე პროცესებს აკვირდება, ნუხს, – ჩემი დრო არ დადგა. ჩაის მოყვანა და მოვლა მარტივია. გვალვა, წვიმა და თოვლი არ აფუჭებს. დასავლეთში საუკეთესო კლიმატური პირობებია, თუმცა პლანტაციები გაანადგურეს. გვსურს, ღვინის ლაბორატორიის შექმნა, დასავლეთ საქართველოში მომრავლდა ღვინის მწარმოებელი კომპანიები, ლაბორატორიული დასკვნის მოსამზადებლად თბილისში მიდიან, ისინი ანასეულში აიღებენ დასკვნას. კვლევით ცენტრს ისევ ძველი კადრები მოყვება, ახალგაზრდა კადრების მოძიება რთულია, აქ მთავარია პრაქტიკული საქმიანობა. მათ ყველა კვლევას ვასწავლით.

– **ბატონო სოსო, ცენტრის იუბილეს გილოცავთ, თანამშრომლები აღნიშნავენ, – საუკეთესო დირექტორია. ბუნებისა და ადამიანის საკეთილდღეოდ, ბევრ წარმატებას გისურვებთ.**

ბატონი სოსო ზაურ გაბრიჩიძემ გამაცნო, პირველად მან მიმიწვია ანასეულში, სამწუხაროდ, ბატონი ზაური გარდაიცვალა.

ქალბატონი რუსუდან ტაკიძე, ცენტრ ანასეულის დირექტორი სამეცნიერო დარგში დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურის უძველეს ისტორიაზე გვესაუბრება, დავპირდი, ჟურნალი დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურის განვითარებაში თავის წვლილს შეიტანს.

– **რატომ არის დასავლეთ საქართველოში ჩაის განვითარებისთვის კარგი კლიმატური პირობები?**

– ჩაის კულტურა საჭიროებს მუჟავე ნიადაგს, სწორედ, დასავლეთ

საქართველოს რეგიონებში – გურია, აჭარა, სამეგრელო, იმერეთის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სუბტროპიკულ ფენოვან ნიადაგებზე არის მუჟავე რეაქცია. თამამად შეიძლება ითქვას, ჩაის კულტურა დასავლეთ საქართველოში უაღტერნატივია. თითქმის ორი საუკუნეა, რაც ჩაი განვითარდა, ხარისხიანი ფოთოლი ჰქონდა, ასევე მაღალი ტანინის შემცველობა. 90-იან წლებში ჩაის პლანტაციები განადგურდა. საბაზ-



რო მოთხოვნა დაეცა, პლანტაციები თანდათან შემცირდა, სარეველა ბალახებით დაიფარა, შემდეგ გაუდაბურდა.

– **ბატონმა სოსომ აღნიშნა, ჩაის მოყვანა და მოვლა მარტივია.**

– ჩაის კულტურა ყველა იმ წესების დაცვით უნდა გაშენდეს, რაც აგროტექნიკაშია მიღებული. საუკეთესო ჯიშია კლონის ჩაი, რომელიც აკადემიკოსმა ქსენია ბახტაძემ გამოიყვანა. მსოფლიო მონაცემებს

თუ გადავხედავთ, ჩაის ფართობები ყველგან იზრდება, საქართველოში ათჯერ შემცირდა. კარგია ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა, მაგრამ როდემდე უნდა განვაახლოთ?! ჩაის კულტურას 150 წლის ისტორია აქვს, ჩვენ უნდა გავაშენეთ ახალი პლანტაციები, შეიმზას სანერგეები, იმ მუნიციპალიტეტებში მივიდეთ, სადაც ჩაის განვითარების კარგი პირობებია. ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს, როდესაც დანერგე მომავლის პროგრამამ კენკროვან კულტურებზე 100%-ი დაფინანსება გამოაცხადა, ხოლო ჩაის კულტურა პროგრამაში საერთოდ არ შეიყვანა. ასეთი დაუდევრობა, როგორც დარგის სპეციალისტს, დანაშაულად მიმაჩნია, სოფლის მეურნეობა დარგობრივად უნდა განვითარდეს, სოფლები დაცარიელებულია, ადგილობრივები სავაჭროდ მიდიან.

– **რას სთავაზობს მენარმეს ანასეულის ცენტრი?**

– ცენტრი სთავაზობს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ ლაბორატორიაში განხორციელებულ ნემატოლოგიურ კვლევას, სახეობრივ დონეზე, ნიადაგსა და მცენარეში. ლაბორატორიის მიერ მონოდებული დასკვნის და აგროტექნიკური ღონისძიებების რეკომენდაციის საფუძველზე, მენარმე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე თავიდან აირიდებს პათოგენურ ნემატოდების მიერ მიყენებულ ზიანს, რაც ჯანსაღი და იმუნურად ძლიერი მცენარის წინაპირობაა.

ლელა სურმავა



კვლევითი ცენტრის თანამშრომლები

აკაკი გელოვანი

აკაკი გელოვანის დაფერფლილი დიდება ბავშვობაში ნავიკითხე, რომელიც ჯორდანო ბრუნოს ცხოვრებას ეძღვნებოდა, – მითხრა ცისანამ. ამ წიგნს დღემდე ვერ ვივინყებ, ჯორდანო ბრუნოს ჩემი საყვარელი გმირი იყო.

ოცნებად მექცა, წიგნის ავტორისთვის თვალი შემე-
ვლო.

მამას ვთხოვე, – გელოვანის დახატვა მინდა, მასთან
ნამიყვანე-მეთქი.


ნიკოლაძის სასწავლებელი უკვე დამთავრებული
მქონდა, როდესაც მამამ აკაკი გელოვანის სახლში წამი-
ყვანა.

ძალიან ვლელავდი, მეგონა, თვით ჯორდანო ბრუ-
ნოს უნდა შევხვედროდი... ჩემი წარმოდგენით, წიგნის
ავტორი თავის გმირს უნდა ჰგვანებდა.

ბატონი აკაკი გულთბილად შეგვხვდა. მაღალი, გამხ-
დარი, ფერმკრთალი, დაფიქრებული, ოდნავ სევდიანი
თვალებით, – ასე დამამახსოვრდა იგი.

დიდბუნებოვანი ადამიანი ყოფილა, რადგან თვრა-
მეტი წლის გოგონას სურვილს სერიოზულად მოეკიდა,
ტოლივით მიმიღო.

პორტრეტზე მუშაობა განსაკუთრებული მომენტია.
ამას ვერაფერი შეედრება, როდესაც წინ ნატურა ზის,



მხატვარსა და ნატურას შორის სულიერი კონტაქტი
მყარდება. ნატურას შემოქმედებით პროცესში რომ ხე-
დავს მხატვარი, მან, შესაძლოა ისეთი რამ შენიშნოს,
რასაც სხვა ვერ ხედავს.

– მიშა, იცოდე, ეს გოგონა ამ გზიდან არ გადაუხვევს!
ოღონდ ხელი შეუწყვე, – გადაულაპარაკა ბატონმა
აკაკიმ მამაჩემს.

ნატურალური ზომის რეალისტური პორტრეტი ზე-
თით შევასრულე. მაშინ ძალიან მოდერნისტულად ვხა-
ტავდი.

ბატონმა აკაკიმ ნამუშევარი მომიწონა. ბევრი საქები
სიტყვაც მითხრა. გულთბილად დამილოცა ცხოვრების
გზა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩემს თავზე
მრავალმა ქარიშხალმა გადაიქროლა, მაგრამ ოცდაათ-
ზე მეტი წლის შემდეგ, ამერიკაში, იმ დღეს ვიგონებ.
ახლაც ბატონ აკაკიზე ვსაუბრობთ.

ნათელში იყოს მისი სული!

იმ დღეს ბატონმა აკაკიმ დიდი მადლი მოიხსა, –
მის მიერ თარგმნილი გოეთეს *რჩეული ლირიკა* მაჩუქა
ავტოგრაფით, – ჩემს ნიჭიერ დაიკოს, ცისანა ჯანიაშ-
ვილს, არა ჩემი პორტრეტისათვის, არამედ მამის ნიჭის
ლირსეული მემკვიდრეობისათვის. აკაკი გელოვანი;
23.04.1973. (იოჰან ვოლფგანგ გოეთე: *რჩეული ლირიკა*,
გერმანულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენ-
ტარები აკაკი გელოვანისა: თბილისი, *მერანი*, 1972.).

დაფერფლილი დიდება და მარად ცოცხალი ხელოვ-
ნება ჩემს სხვა წიგნებთან ერთად იერუსალიმში დარჩა,



ჯუმბერ ჯიშკარიანი, ცისანა ჯანიაშვილის ნახატი



ცისანა ჯანაშვილი

მამაჩემის ბიბლიოთეკაში. მისი გარდაცვალების შემდეგ წიგნები აღარ დამიბრუნეს. ასევე სამუდამოდ გამოვე-
თხოვე ალბომების უძვირფასეს კოლექციას ხელოვნე-
ბაზე, რომელსაც მამაჩემი წლების მანძილზე ჩემთვის
აგროვებდა. გოეთეს *რჩეული ლირიკა* კი მუდამ ჩემთა-
ნაა. ის ჩემთვის ჩვეულებრივი წიგნი როდია! ის ჩემი
შვებაა, ჩემი სულის თავშესაფარია! ყოველთვის, როცა
ცხოვრებაში მძიმე მომენტები მქონდა, ამ წიგნს მივ-
მართავდი საშველად.

მისი კითხვა დაუსრულებლად შემიძლია.

წელსაც, ერთგვარი სულიერი დეპრესიის ფაზს, როცა მამის პორტრეტზე მუშაობა გადაწყვიტე, კვლავ ეს წიგნი გადავფურცლე, რომელმაც გზა გამიხსნა...

*მე, ღვთის ხატებას, ვინც უკვე ვცან სულგახსნი-
ლობა, ვიხილე სარკე მარადიულ ჭეშმარიტების...*

მთელი ორი თვე თავაულებლად ვიმუშავე, ტილო-
ზე მარჯვნივ ავტოპორტრეტია პროფილში, მამას ჩემს
პალიტრას მივართმევ. ამით თითქოს მის სულს ჩემი
შემოქმედების ანგარიშს ვაბარებ...

მამის პორტრეტზე მუშაობა რომ დავასრულე, შვება
ვიგრძენი, თითქოს რაღაც ტვირთი მომეხსნა, რომელიც
ვაიმარელი ბრძენის უკვდავმა სტრიქონებმა შემადლე-
ბინა.

სამწუხაროდ, ბატონი აკაკი ამქვეყნად აღარაა, მა-
გრამ მისი აჩრდილი თითქოს თან მდევს, მისი კეთილი
სული დღემდე მათბობს, მეფერება, და მისი უზომოდ
მადლობელი ვარ.

ვიდრე სული მიდგას, აკაკი გელოვანი არ დამავინყ-
დება...

ჯუმბერ ჯიშკარიანი

ამერიკა, ფლორიდა პრეს-პრემიერი №51 31.03.2005.



მოხუცი



შალვა ძნელაძის
ნახატები

ქალი ქოლგით

თავისუფლება ღიდ ხარკს ითხოვს...


ჩემი ჟურნალისტური ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი ეტაპი, გადაწყვიტე, თავისუფლების მოედნიდან დამენყო და ლესელიძის ქუჩით პირდაპირ ფიქრში წავედი. პირველი, რაც თავში მომივიდა, ეს იყო ამ შენელებული ეროვნული მოძრაობის რეფრენად ქცეული შეკითხვა – *ეს გზა ტაძართან მიგვიყვანს?..*

– მიგვიყვანს! – ვუპასუხებდი მე, თუ გავიხსენებთ პეტრიაშვილის ისაკაძისადმი გამოთქმულ საყვედურს და იმ ფაქტს, რომ ტაძარს რუსულად *ხრამ* ჰქვია.

15 თებერვალი იყო, მაგრამ იმდენად თბილოდა, რომ სულ არ ციოდა და ეჭვიც კი შემეპარა, მართლა 15 თებერვალი იყო თუ არა. უჩვეულოდ ლმობიერი აღმოჩნდა წლეულს სუფსარქისი. უთუოდ, *მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების სამშვიდობო ინიციატივამ* თუ მოახდინა გარკვეული ზეგავლენა.

საპატრიარქოს ყოფილ შენობასთან ჩავუხვიე. სწორედ იქ, სადაც საკათედრო ტაძართან არმისული ერთმანეთს ირიბად უყურებენ კაფე-ბარის გვერდით განთავსებული კომერციული მაღაზია *მადონა* და რკინის გისოსებში ჩასმული კაზინო. უნებლიედ ილიას დაკრძალვის პროცესიის ცნობილი ფოტო ნარმომიდგა თვალწინ. მაშინ სხვანაირი იყო სიონის ქუჩა. უფრო განიერი, გაშლილი და ნათელი. ნეტავ იმ დროს, როგორ გამოიყურებოდა ეს დიდებული ტაძარი, როდესაც ჯალალ-ედინმა, ამ მართლაც და სატანამ, გუმბათი ახადა. მის ნაცვლად, კარავი დადგა და შიგ თავად დაიდგა ტახტი. ყველაზე შემზარავი ეს შემოსევა იყო. საგულისხმოა, სწორედ ამ დროს ხდება ეროვნული სულის აღზევების მაგალითი: არნახული, არგაგონილი გმირობა – ასი ათასი მოწამის თავგანწირვა, თავდადება ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის. რჯულისათვის, სამშობლოსათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი შთამომავალნი ვართ ან ეგებ იმ ნაწილისა, რომელიც გადარჩა სულის გაყიდვის ფასად. ყიდულობდნენ და ისევ ყიდიდნენ. განა შეიძლება სულით ვაჭრობა? – *იყიდე, გაყიდე, რა ქარვასლაა?..*

ქარვასლაში შესულს საფასური გადამახდევინეს. სანაცვლოდ, ბილეთი მომცეს. მოვხვდი ქართველ მხატვართა გამოფენა-გაყიდვაზე. ვისარგებლე ამ უფლებით და განათებულ დარბაზში აღმოვჩნდი. პირველი რაც თვალში მომხვდა, ეს იყო მასშტაბურობა. დაახლოებით 150 სურათი იქნებოდა. ნამუშევრების დიდი ნაწილი ჩემთვის უცნობი იყო. ისევე, როგორც მათი ავტორების გვარები. თუმცა, აქა-იქ ნაცნობ გვარებსაც ვაწყდებოდი, ასევე, ნაცნობ ნახატებსაც. მას შემდეგ, რაც გამოფენა გულმოდგინედ დავათვალიერე, ფასებით დავინტერესდი. იმ მაგიდას მივაპურე, სადაც თანამედროვე ქართველ მხატვართა კატალოგ-ბუკლეტებს შორის, გამოფენილი ნამუშევრების ნუსხა იდო. რამოდენიმე



მამუკა სალუქვაძე

გამონაკლისის გარდა, ფასები საკმაოდ ხელმისაწვდომი მეჩვენა, თუმცა, *ხელმისაწვდომი* ჩემთვის იმდენად ხელმიუწვდომელი იყო, რომ უხერხულობისგან ჯიბიდან ხელი ამოვიღე.

– **რამდენი ხანია რაც გაიხსნა გამოფენა?** – ვკითხე ჩემს საპირისპირო მხარეს მჯდარ მშვენიერ ქალბატონს.

– შაბათს გაიხსნა, 11 თებერვალს.

– **ესე იგი, სულ ოთხი დღეა?**

– ასე გამოდის.

– **გაიყიდა რამე?**

– ჯერ-ჯერობით არა, – ვიგრძენი, შინაგანად გამეხარდა, მაგრამ არ შევიმჩინე, რომ ბოროტი ადამიანის შთაბეჭდილება არ დამეტოვებინა.

– **როდემდე გასტანს გამოფენა?**

– თვის ბოლომდე.

– **ალბათ, გამოჩნდებიან მყიდველები.**

– ჩვენც იმედი გვაქვს.

– **კარგად ბრძანდებოდით,** – თავაზიანი ღიმილით დავემშვიდობე მშვენიერ ქალბატონს.

– ნახვამდის, – დამემშვიდობა მშვენიერი ქალბატონი. ასე ვთქვათ, თავაზიანი ღიმილები გავცვალეთ, დაახლოებით იმ სტილში დიპლომატები რომ ცვლიან ხოლმე რწმუნების სიგელებს. ქარავან სარაიდან, ანუ ქარვასლიდან ნახატთა სიმრავლით გაბრუებული გამო-



ვედი. რატომღაც უცნობი პოეტის ნაცნობი ლექსი გამა-
სხენდა, – ნატურმორტი ზეთში.

შავი პურის ყუა თავს რომ აჭრის თევზს,
მაგიდაზე მდგარი ბოთლის გვერდით დევს,
არყის თლილი ჭიქა, იქვე კათხა ლუდის,
ნახატს, როგორც კათხას თევზის სუნი უდის.

.....
უცნაური ხელობაა მხატვრობა,
დაუღეველად შეიძლება დათრობა.

ცოტა ხნის წინ ჩამოვლილი დაღმართი, ახლა აღმარ-
თად მექცა, მხატვრობაზე ფიქრი კი – თანამგზავრად: რა
დასამალია, რომ სურათებს დღეს მეტწილად სტუმრები
ყიდულობენ. აქ შეფარდება ასეთია – 99% ერთთან. თან
ყიდულობენ იმ ნამუშევრებს, რაც მართლა ღირებულია.
ყიდულობენ მინიმალურ ფასში. მიაქვთ ისეთი ნამუშე-
ვრები, რაც ხვალ ასჯერ და ათასჯერ მეტი ეღირება.
კაპიტალისტებზე კარგად ვინ იცის ნამდვილი კაპიტა-
ლის ყადრი. სამწუხაროდ, დღევანდელ ჩვენს კომერ-
ციულ სტრუქტურებს, ბანკებსა და ბიზნესმენებს არ
ჰყოფნით არც ნიჭი, არც ჭკუა, არც განათლება, და
რაც მთავარია, ინტუიცია, რომ ეს საგანძური ხელიდან
არ გაუშვან. დროებით მაინც დააკონსერვონ, ვიდრე
მათი ფასი აიწვედეს. თუ მაინცდამაინც გაყიდვას, მა-
შინ გაყიდონ, როდესაც ერთ ნახატში აიღებენ ყველაზე
ცოტა იმდენ თანხას, რამდენსაც დღეს მხატვარი იღებს
ათი სურათის გაყიდვით. დიდი ეროვნული საქმე იქნება,
თუ ხელოვნების ნიმუშებს საქართველოში დატოვებენ
და გამოფენენ *კერძო კოლექციონერთა გამოფენებზე*,
რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ეზიარონ მარად
უკვდავ ქართულ კულტურას.

გადავწყვიტე, ჩემი ჟურნალისტური ცხოვრებისა და
მოღვაწეობის ახალი ეტაპი, სწორედ ამ თემაზე დაწე-
რილი პუბლიკაციით – *ქართული კულტურის გადამრ-
ჩენი* დამენყო. ჟურნალისტი რა ჟურნალისტია, თუ მას
არა აქვს ფსევდონიმი, რამდენიმე თუ არა, ერთი მაინც.
ფსევდონიმი უნდა იყოს ისეთი, რომ ჟღერდეს, მაგალი-
თად, ვალერიან სულმნათი ან საიმონ სევდიანი. ფიქრმა
კვლავ თავისუფლების მოედანზე დამაბრუნა. ვერც კი
ვიგრძენი ისე მივედი საქართველოს ხელოვნების გაძარ-
ცვულ მუზეუმამდე. ასევე, მნიშვნელოვან დასკვნამდე,
– თავისუფლება იმდენად დიდ ხარკს ითხოვს, იქნებ,
ვერც შევძლოთ მისი გადახდა. თუმცა, შეუძლებელი
ქვეყანაზე არაფერია.

საიმონ სევდიანი

(მამუკა სალუქვაძის ფსევდონიმი)

ვაჟის დაბადება კალანდა ღამეს

– გამიღეთ კარები, მოვედი კალანდა;
მგზავრი ვარ დალილი, შორიდან მოვდივარ.
გასული წელიწადით დაცლილი როდი ვარ,
ყოლიფერ სიკეთით სავსე მაქვს კალათა, –
და უცებ, კარები იღება პატიჟით...
აი, ვინ ყოფილა, მომავალ კალანდას
გზას რომ უკვალავდა.

.....
ოჯახში პირველი შვიდა ბადიში.



* * *

E7, E5

და ისევ ღამეა
დებიუტი ახალი წლის;
მოუკლავს დედოფალს მთოვარე – კამეა
ნაიყვანს ენებელ ლის.
სხვა გალაქტიკაში გრძელდება პარტია
და იგი, პაიკის გაყვანას ეცდება;
ოცდება პირლია სარკმელი, შეცდება,
ქრება ევრიდიკე, ჩვიდმეტი მარტია.
რთულ პოზიციაში პარტია იდება,
ტიტანთა ბრძოლაა, ოლიმპოესია,
ალბათ, სიცრუეა და ჭეშმარიტება,
ორი ურთიერთის ტოლი პოეზია.
ვის სურს გააგრძელოს? ძალუძს განა
მოკვდავს
ნაკითხვა წერილის, თუ მან არ ინება.
იქნებ, ამ წელიწადს მოჰყვეს მოსვლა
მოგვთა;
ნუთუ, ცას ვარსკვლავი კვლავ მოეველინება.

E7, E5

და ისევ ღამეა
დებიუტი ახალი წლის;
საყელო ცრემლებით მთლად დამინამია
და ტირილს ვიკავებ ძლივს.

* * *

ახალი წელია დღეს ჩვენი სტუმარი
და ისე დავუზვდეთ, როგორც ეკადრება,
ლექსით და სიმღერით გავუძღვეთ პურ-მარილს,
ნუ მოგვერიდება, ნუ მოგვეხათრება.

სტუმარი ღვთისაა, როგორ გაგვახარა,
როგორ დაგვავალა სტუმრად მობრძანებით,
დიდი და პატარა ხვდება მოკრძალებით,
ხარობს და ზეიმობს თბილისი ჭალარა.

დავლოცოთ სტუმარი, პატივით ჩვეულებით,
ვუსურვოთ დალოცვილს უიღბლო არ იყოს,
იყოს იღბლიანი, თვით ბედის რჩეული,
რომ უბედურება გასულ წლად გარიყოს.

იჩქარეთ, ეს წელი ყველასთვის იმეტებს
ყოველგვარ სიკეთეს და კიდევ უკეთესს,
მიღეულ კოცონებს ახალ ფიჩხს უკეთებს
და ისევ აცოცხლებს, აღვივებს იმედებს.

ახალი წელია, ქეიფი ჩაღდება,
ვარსკვლავთა ჭალები ცას აჩაჩახებენ,
ვიჩქაროთ! იმედის სალაროს აღებენ,
დღეს რასაც ვინატრებთ, უთუოდ ახდება.

წლების გასაყართან იმიტომ შევიყარეთ,
რომ ძველი გავიხსენოთ, ახალი შევიყვაროთ,
მოყვარე დავლოცოთ, მტრის ჯავრი ვიყაროთ,
გავლადღეთ, ვიმღეროთ, ვილხინოთ, ვიხაროთ.



ახალი წელია დღეს სტუმრად მოსული,
რაც ყველას ძალ-ღონის მოკრებას
ავალებს,
რადგან წინ გზა არის ოცნებამოცული
და ჩვენ გაგვიმარჯოს ამ გზაზე მა-
ვალებს.

* * *

განა რა მოხდა?! ურწვეია ნიავს ჰამაკი;
ვითომ ძნელია?.. გააქანე, გამოაქანე;
უჩინარდება ნიავივით, ქრება ამაგი
და მერე ვინმეს აგონდება განა აკ-
ვანი?!

მოდით, ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს
და გაუმართლოს,
ეს წელიწადი ასრულების იყოს ოც-
ნების,

არ დაჰკარგვოდეთ სამსახური პატიოსნების,
ცოცხლებს – სიცოცხლე, ნასულებს კი გზად გაუნათლოს.

ნუ! პური ჩვენი არსობისა ნუ დაობდება...
და შეიძლება, ეს იმედი იყოს ობლისა,
რომ საბოლოოდ აღარავინ არ დაობდება,
რადგან ყველანი შეილები ვართ ნუთისოფლისა,

მე მინდა, ძლიერ გაუმარჯოს დაკარგულ ედემს,
სიყვარულს მართალს, საუკუნო ტანჯვაში ნამყოფს,
ყველა თქვენთაგანს – სიყვარულის მშვენიერ ნაყოფს,
მე დაგილოცავთ, გიღლეგრძელებთ მამებს და დედებს.

* * *

ჩვენს შვილებს დავლოცავ და ვიტყვი უბრალოდ,
არ იყვნენ მარტონი, და-ძმები უმრავლოთ;
მრავლად ჟღურტულებდნენ, ენამერცხალობდნენ
და ბედი სწყალობდეთ და ბედსაც სწყალობდნენ.

ჩვენს შვილებს დავლოცავ და გულით ვინადი,
მინდა, ვადღეგრძელო გზა მათი სავალი,
განვლონ სიხარულში მათ ეს წელიწადი
და წელი მომდევნო და კიდევ მრავალი.

ჩვენს შვილებს დავლოცავ, ლოცვით ჭეშმარიტით,
მშვიდად მოიხადონ, რაც მოსახდელია;
მათი განსაცდელი მე ვიყო მარადი,
დაე, ჩემს თავს მოხდეს, რაც მოსახდენია.

შენს შვილებს დავლოცავ, სამშობლოვ ნეტარო,
ამიტომ, მინდა, რომ ვარსკვლავებს ედარონ;
იმრავლონ, იხარონ, რადგან ჩვენი ერი
იყოს ძლიერი და უფრო მშვენიერი.

იმ დღეზე ვლოცულობთ, ვოცნებობთ და როცა
ნამოიზრდებიან, ოცნებაც ახდება;
აბა, მაშინ ნახეთ ყველას გასახტება...
ისმინე! ისმინე! ჩვენს შვილებს დავლოცავ.



ნათია კალანდაძე

ანა კალანდაძის პირველი ლექსი

ლონისძიებაზე ისაუბრეს პოეტის მოგონებებზე, მშობლიურ სოფელთან დაკავშირებით; ხიდისთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ანა კალანდაძის ლექსები, მომღერლებმა მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს.

ლონისძიებას სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

საიუბილეო კვირეულის ფარგლებში, ანა კალანდაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში გაიმართა.

სოფელში დავნერე პირველი ლექსი: მაშინ მეხუთე კლასში ვიყავი. იმ ზაფხულს ოჯახის ბევრმა წევრმა მოვიყარეთ სოფელში თავი, ჩვენთან ერთად იყვნენ ნათესავის ბავშვებიც, ერთ სალამოს ერთ-ერთი მამიდა რალაცას გვიყვებოდა, ამ დროს ცაზე მთვარე ამოვიდა, გაანათა მთის წვერები და ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ფოცია მამიდა პედაგოგი იყო, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა, პედაგოგიურად მოგვიდგა და გვკითხა: ბავშვებო, მოგონთ ეს სურათი? როცა ვუპასუხეთ, მოგვეწონა, გვითხრა, იფიქრეთ, დაწერეთ რამე და დილას მაჩვენეთო... იმ ღამით ყველას ტკბილად ეძინა, მე კი თვალი არ მომიხუჭავს, დავალევა შევასრულე და ლექსი მამიდას ვაჩვენე... სოფელში სახლთან იდგა ის თუთაც, რომელსაც მერე ვუძღვნი:



მაია პაიჭაძე, ქეთი მოისწრაფიშვილი, ირაკლი კუჭავა, დავით შარაშიძე

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი,
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ,
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...

რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი!
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა.
ლამის ნელზე შემომხვიოს ხელი.

ანა კალანდაძის დაბადებიდან 100 წელი გავიდა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში, პოეტის სახელობის სკვერში ბიუსტი გაიხსნა (მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქია).



ხიდისთავი, ანა კალანდაძის სახლი

ქავერ შოუს გამარჯვებული



ვიოლეტა მაგალობლიშვილი



2024 წელს *Black Sea* არენას საკონცერტო დარბაზში მასშტაბური მუსიკალური პროექტი ქავერ შოუ გაიმართა. მეგა-შოუში ვიოლეტა მაგალობლიშვილიმა გაიმარჯვა.

– ბედის ვარსკვლავის აციმციმებაა, – ამბობს ის. ყველას მადლობა გადაუხადა, თავის პანანინა მუნიციპალიტეტს, ჩოხატაურის მერს დავით შარაშიძეს, კულტურის სამსახურის უფროსს თამუნა კეკელიძეს, ოჯახის წევრებს, გულშემმატიკვირებს...

ვიოლეტა მაგალობლიშვილი 1999 წლის 27 ივნისს ჩოხატაურში დაიბადა. ბავშვობაში ნამეტანი ცელქი ყოფილა. ჰყავს და-ძმა, მუსიკის ნიჭი მარტო მას გამოჰყვა. დედამ პატარა ვიოლეტა მუსიკალურ სასწავლებელში მიიყვანა. ყოველთვის გრძნობს ოჯახის მხარდაჭერას. ვიოლეტა პროფესიით სამართალმცოდნეა, მაგისტრატურაში აგრძელებს სწავლას.

მომღერალს თავისი ბენდი ჰყავს, მალე გულშემმატიკვირებს ახალ სიმღერას შეთავაზებს.

ქავერ-შოუში შემთხვევით აღმოჩნდა, გრანდიოზულ პროექტში მონაწილეობა მეგობარმა, რუსკა მაცაშვილიმა ურჩია. *Black Sea* არენას სცენაზე გამოსვლა, მისთვის ახალი გამოწვევა იყო. ფსიქოლოგიურად მოემზადა და გაიმარჯვა. ვიოლეტა ძალიან ლამაზია, თუმცა მუსიკალურ პროექტში, სადაც მომღერლებს შორის დაძაბული შეჯიბრია, მონაწილეების გარეგნობა უმნიშვნელოა.

მომღერალს თავყვანისმცემლები შეემატა. მთავარია, რჩეულმა მის მიმართ პატივისცემა და მხარდაჭერა



ვიოლეტა მარუაშვილი

გამოხატოს. ვიოლეტა გურმანია, გემრიელ კერძებს ამზადებს. უყვარს გურული ღვეხელი და ფხალეულობა, როდესაც დედა საშობაო ღვეხლებს ტკბილი გალობით ამზადებს, მაგალობლიშვილების დიდ და ლამაზ ოჯახში ახალ წელთან ერთად, თითქოს ახალი სიცოცხლე იწყება.

ვიოლეტა მაგალობლიშვილს ბევრ ნარმატებას ვუსურვებთ.

ლელა სურმაგა



დავით თოთიბაძე



ირაკლი აზიკური



- ექიმო, მიშველე, ბოლო დროს მგონია ზარი ვარ, ზარი.
- ა, თქვენ წამალი და სამი დღის შემდეგ თუ არ გიშველა, დაგიზვანოკებ.



- მასესხე, ძამა ერთი ხუთი ლარი, სატირაღმი მივდივარ.
- შენ, ძამა, ხუთი ლარი თუ არ გაქვს, რა გინდა სატირაღმი. დაჯეცი სახღმი და იტირე.



აბრაამ ლინკოლნის წაჩილი შვილის მასწავლებელს

აბრაამ ლინკოლნი ამერიკის შეერთებული შტატების მეთექვმეტე პრეზიდენტი იყო.

ძვირფასო მასწავლებლო!

ჩემი შვილი დღეს იწყებს სწავლას. ეს უცხო თავგადასავალია მისთვის. მსურს, ღირსეულად გაუძღვეთ მას ამ გზაზე...

ყოველი თავგადასავალი თავის თავში ომს, ტრაგედიას და ტკივილს გულისხმობს. წარმატებისთვის კი, საჭიროა რწმენა, სიყვარული და მხნეობა.

მან აუცილებლად უნდა გაიგოს, ყველა ადამიანი არ არის კეთილი, ასევე, იცოდეს, ყოველი არამზადას უკან გმირი იმალება.

ასწავლეთ მას, ყოველი მტრის წილ ერთი მეგობარია. ეს დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ მინდა ხვდებოდეს დოლარს, რომელიც საკუთარი ოფლით გამოიმუშავა, უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე ხუთ დოლარს, რომელიც შემთხვევით იპოვა.

ასწავლეთ, რა არის დამარცხება და უთხარით, ისიამოვნოს გამარჯვებით. გაათავისუფლეთ შურისაგან და თუ შეძლებთ, ასწავლეთ გულწრფელი ღიმილი.

ასწავლეთ, წიგნის ფასი, ამავდროულად ბუნების სიყვარულიც შთააგონეთ, – დატკბეს ცაში მფრინავი ფრინველების ცქერით. ყვავილებისა და მწვანე მდელოს მზერით.

ასწავლეთ, რომ დამარცხება უფრო ღირსეულია, ვიდრე ტყუილი და თალღითობა. ასწავლეთ საკუთარი იდეების რწმენა, იმ შემთხვევაშიც თუ მათ სხვები არ ეთანხმებიან.

ასწავლეთ, იყოს კეთილი კეთილთა და მტკიცე მტკიცეთა მიმართ.

ასწავლეთ, ყველა ადამიანის მოსმენა. მიაჩვიეთ კარგისა და ცუდის გარჩევა.

ასწავლეთ, გაიცინოს როცა მოწყენილია და უთხარით, ცრემლები სირცხვილი არ არის.

ასწავლეთ, როგორ შეიძლება გაყიდოს თავისი ინტელექტი და შესაძლებლობები. თუმცა, ისიც შთააგონეთ, რომ სულისა და გულის გაყიდვა არ შეიძლება.

ასწავლეთ, თუმცა გულში ნუ ჩაიხუტებთ. გახსოვდეთ, ფოლადი მხოლოდ ცეცხლში იჭედება.

ასწავლეთ, ჰქონდეს თავისი თავის რწმენა და ადამიანთა მიმართ რწმენასაც ნუ დაკარგავს.

შეიძლება დიდი გამოწვევაა, მაგრამ მსურს, დავინახო, რა შეგიძლიათ, ის ხომ კარგი ყმანვილია – ჩემი საყვარელი შვილი!..

აბრაამ ლინკოლნი

მასწავლე კაზარა ნაბიჯების ხელოვნება...

ეს ლოცვა ანტუან დე-სენტ ეგზიუპერმა იმ დროს დაწერა, როცა მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. ანტუანი ადამიანებს შეახსენებს ცხოვრების მთავარ ღირებულებებს. ღრმად წვდება სულსა და გონებას...

უფალო, არ ვითხოვ სასწაულებსა და მირაჟებს, არამედ ვითხოვ ძალას ყოველი დღისთვის. მასწავლე პატარა ნაბიჯების ხელოვნება...

გამხადე დაკვირვებული და საზრიანი, ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვნება, დაფუძნებული იყოს იმ აღმოჩენებსა და გამოცდილებებზე, რომლებიც მალეღვებს.

მასწავლე საკუთარი დროის სწორად განაწილება. მომანიჭე ზუსტი ალლო, განვასხვავო პირველხარისხოვანი მეორეხარისხოვანისგან.

გთხოვ, მომცე თავშეკავების ძალა. ცხოვრების გზაზე კი არ ნავბორძიკდე, არამედ ჭკვიანურად დავგეგმო დღე, განვჭვრიტო მწვერვალები და სიშორეები. იშვიათად მაინც მომეცეს ხელოვნებით ტკობის საშუალება.

დამეხმარე, შევიგნო, ოცნებები არ არის გამოსავალი – არც ოცნება წარსულზე, არც მომავალზე. დამეხმარე, ვიყო აქ და ახლა. მივიღო ეს ნუთი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი.

დამიფარე გულუბრყვილო რწმენისაგან, თითქოს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იქნება!..

გამინათე გონება და მიმახვედრე, – ნებისმიერი სირთულე, მარცხი, დაცემა. წარუმატებლობა, ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, რომელთა დახმარებით ჩვენ ვიზრდებით და ვჭკვიანდებით.



შემახსენე, გული ხშირად კამათობს გონებასთან. მომივლინე მნიშვნელოვან მომენტებში ვინმე, რომელსაც ეყოფა ვაჟკაცობა, მითხრს სიმართლე, მაგრამ მითხრას სიყვარულით.

ვიცი, ბევრი პრობლემა მოგვარდება. ამიტომ, მასწავლე მოთმინება.

შენ იცი, როგორ გვჭირდება მეგობრობა: გამხადე ღირსი ბედის, ეს ულამაზესი და უზენაესი საჩუქარი განვიცადო.

მომანიჭე მდიდარი ფანტაზია, საჭირო მომენტში, საჭირო დროს, და საჭირო ადგილას მდუმარებით და საუბრით ვაჩუქო ვინმეს სიტბო.

მაქციე ადამიანად, რომელსაც შეუძლია მისწვდეს მათაც, ვინც ყველაზე დაბლაა...

დამიცავი ცხოვრებაში რამის გამოტოვების შიშისგან.

მომანიჭე ცხოვრებაში არა ის, რაც საკუთარი თავისთვის მსურს, არამედ ის, რაც აუცილებლად მჭირდება.

მასწავლე პატარა ნაბიჯების ხელოვნება.

ანტუან დე-სენტ ეგზიუპერი

☺☺☺

მონმედ დაბარებული მომღერალი:

გურიაში ანეკდოტიც კი შეთხზეს ცნობილ მაგალობელ მაქსიმე წეროძეზე, ერთხელ თურმე მაქსიმე სასამართლოში დაუბარებიათ მონმედ.

მოსამართლე ეკითხება:

- მაქსიმე, შენ რას იტყვი?
- შენ თუ დაიწყებ, მე ბანს გეტყვი! - უპასუხია მაქსიმეს.

☺☺☺

წარწერა გურულის საფლავზე:

- ვიძახე, გლახათ ვარ, გლახათ ვარ-თქო და ე!

☺☺☺

წარწერა მეორე გურულის საფლავზე:

- მე აქ უნდა ვინვე და შენ მაგას უნდა კითხულობდე?!

☺☺☺

დილით ორი გურული შეხვდება ერთმანეთს:

- რაფერ ხარ, ძამა? სით მიხვალ?
- მამაჩემის საფლავზე.
- მერე ამ დილაუთენია?!
- რავა, ეძინება, თუ?!

☺☺☺

ორი გურული ეკლესიაში შევიდა და მამაოს თხოვეს, ზეთი გვაცხე.

- მარხულობთ? - ეკითხება მამაო.

- არა, არ ვმარხულობთ.
- მონათლულები თუ ხართ?
- არა, მამაო, არც მონათლულუები ვართ.

- აბა, ზეთის ცხება რეიზა გინდათ, ჭრაჭუნობთ თუ?!

☺☺☺

გურიაში კაცი მოკტა. ბევრი იფიქრეს, ჩაეყოლებინათ თუ არა ყაბალახი. ერთმა თქვა, - ამ ზაფხულს რად უნდა ყაბალახიო!

- ზამთარში შენ წუულე, თუ?! - ჩაეკითხა მეორე.

☺☺☺

გურული თევზს ყიდის:

- ძამია, რატოა თევზი მოლუნული?

- მაი, ქალბატონო, პავაროტში დევიჭირე!

☺☺☺

- ახლა ჩვენს მეგობრობას გოუმარჯოს, ჩვენ ხომ ვართ მეგობრები? - ეკითხება ერთი გურული მეორეს.

- აბა?

- შენ შეგიძლია, ჩემი გულობიზა თავი მეიკლა ჩემ მაგივრად?

- მეიცა, რავა, შენ არ გცალია თუ?

☺☺☺

გურული დაიწყებს პოლიციაში მუშაობას. გადმოუღებენ ძებნილი ადამიანების სურათებს და ეტყვიან, ესენი უნდა დაიჭიროო.

გურული გაბრაზდება: - თქვე ოჯახ დასაქცევებო, სურათებს რო უღებდით, მაშინ ვერ დევიჭირეთ?!

☺☺☺

გურულ მოხუცებულს უხსნიან: ატომური ბომბი რომ ჩამოვარდება, მერე აღარც საჭმელია, აღარც სასმელი და ხმა აქვს ძალიან დიდი.

- მაი, ბიძია, ჩვენთან დიდი ხნის ჩამოვარდნილი ყოფილა, მარა ხმაი რომ არ იყო?!

☺☺☺

გურული შედის მაღაზიაში:

- კილკის კონსერვი მომეციო.

- სიდოური - პორტუგალიური, ლიტვური თუ ფრანგული?

- სულ ერთია, კი არ უნდა ველაპარაკო!

☺☺☺

გურიაში ჩატარდა კონკურსი ყველაზე სწრაფი. გამარჯვებულის ვინაობა ჯერ არ იყო გამოვლენილი, ჯილდო უკვე გადაცემული ჰქონდა.

☺☺☺

გურული და სვანი ომში აკოპში წვანან. გაგანია სროლა და თან

მტერი ახლოვდება. სვანი ამოყოფს თავს და დამიზნებით ესვრის. გურული თავაუწეველად გადაყოფს ავტომატის ლულას და მიაყრის. სვანი გადვირევა და გურულს ეუბნება:

- ეგრე რატო ისერი, აინიე, გახედე მტერს და ისე ისროლე!

- დამანებე, ძამა, თავი, მაგენს დასანახად ვერ ვიტან! - უპასუხა გურულმა.

☺☺☺

გურულს ეუბნებიან, რა საყვარელი ტყუპები გყავს.

- მაი ტყუპები არაა, ძამა, ერთია, მარა ნამეტანი ჩქარია!

☺☺☺

გიდი ექსკურსიის წევრებს მიმართავს: - ახლა კი, თუ გურულები ცოტა ხნით გაჩუმდებიან, თქვენ გაიგონებთ ნიაგარის ჩანჩქერის ხმას!

☺☺☺

- ეს ჩვენი დეპუტატი დუმბაძე რომ გაიძახდა, ბათუმში ერთი მეჩეთიც არ აშენდებო, ახლა ეს რა არის?

- ის ამბობდა, ერთი არ აშენდება, თორემ ორზე არაფერი უთქვამს.

☺☺☺

გურული ქალების დიალოგი:
- შენი მევიდა? - არა, მაი ვნახე მინაში!

- შენი?
- მევიდა მარა, იმფერი სანახავია, მიუნვეს შენსას გვერდით!

☺☺☺

გურულ ქალს ეკითხებიან:
- რა უნდა ქნა თუ შენს მიმართ კაცი გაცივდა?





- უნდა დამარხო! - არ დაფიქრებულა ქალი.

☺☺☺

ექიმო, ძალიან მტკივა ჭიბქვეშა ალაგი, - ეუბნება გურული ექიმს...

- აბა, გაიხადე და გაგსინჯავ!
- რავა ჩემი არ გჯერა, თუ?!

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი ანასეული



ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ანასეული,

მობილური ტელეფონები:
599 928 761; 551 633 303

e-mail: agroculture@gmail.com

რვავე ყველა სფეროში ვართ

რვავე სფეროში

- სფერო სპორტი
- სფერო კინო
- სფერო ინვესტი
- სფერო მედი
- სფერო TV
- სფერო დეველოპმენტი
- სფერო ფრანჩაიზინგი

რვავე ასოში

- იმპორტი და ექსპორტი
- რეკონსტრუქციის ასო
- სფერო სფერო
- რეკონსტრუქციის ასო
- ინვესტიციური კონსტრუქციის ასო
- ასო

www.sferoholding.ge



SFERO HOLDING

SFERO INVEST

ISBN 977-2346-7600-0-9



9 772346 760009